ახალი განათლება

8 – 14 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№38 (752) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge

ცხოვრება სილარიბის ზღვარს მიღმა

გვერდი 3

განათლების პოლიტიკა და სოცუზრუნველყოფის პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ

გვერდი 4

სოფლის სკოლა

დიდი სკოლის მემკვიდრე

სოფლებში რომ ბევრი ნიჭი უკვალოდ იკარგება, არახალია. ნიჭიერი ბავშვები ჩემ დროსაც ბევრნი იყვნენ, მაგრამ სპორტულ სექციებში სიარულს უტრანსპორტობის გამო ვერ ვახერხებდით – სპეციალურად გამოყოფილს ვინღა დაეძებს, რაიონულ ცენტრამდე არ იყო პირდაპირი სარეისო ავტობუსი, ხოლო ვარჯიშის შემდეგ სახლში დაბრუნება, უკეთეს შემთხვევაში, შუაღამისას თუ შეიძლებოდა, როცა ავტობუსი ბოლო რეისს ასრულებდა და ისიც მხოლოდ საჭამიასერამდე. ამის გამო ჩვენთვის დიდ სპორტზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა, თორემ ვინ იცის, მართლაც რამდენი ტალანტი დაიკარგა ასე უყურადღებობით და არა მხოლოდ ზემოხეთში.

სპორტით დაინტერესებული სოფლის ბავშვებისთვის რაიონის ხელმძღვანელობა, უკვე მეორე წელიწადია, მართლაც რომ უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებს – ჩოხატაურიდან ზემოხეთამდე დანიშნულია სპეციალური მიკროავტობუსი, რომელსაც ბავშვები კვირაში რამდენჯერმე რაიონულ ცენტრში ჩაჰყავს, სადაც სპორტულ სექციებში ვარჯიშობენ, შემდეგ კი ისევ სოფელში ამოჰყავს.

გვერდი 10

გვერდი 9

კავკასიის უნივერსიტეტი
კავკასიის ბიზნესის სკოლა

აცხადებს კონკურსს პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორისა (3 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტ პროფესორის (2 ვაკანტური ადგილი), ასისტენტის (5 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად აგრობიზნესის მიმართულებაში

კონკურსი ცხადდება შემდეგ დისციპლინებში:

- აგრომეწარმეობის განვითარება;
- საჯარო პოლიტიკის ანალიზი (აგრარული მიმართულებით);
- აგროსაწარმოთა ღირებულებათა ჯაჭვის განვითარება;
- აგროსაწარმოთა განვითარების სოციალური ორგანიზაცია;
- ექსპორტის პროცედურები;
- რძე და რძის პროდუქტების წარმოება და ბიზნესპროცესების მართვა;
- ხორცის წარმოების მართვა და გადამუშავება;
- კაკლოვანი კულტურების წარმოება და მართვა;
- მებაღეობა და მისი მართვა.

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტ პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2-წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის

- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;

სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია; III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge;

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 9 იანვრიდან 2017 წლის 9 თებერვლის ჩათვლით

კავკასიის უნივერსიტეტი, კავკასიის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა სკოლა

აცხადებს კონკურსს პროფესორის (7 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (19 ვაკანტური ადგილი), ასისტენტ პროფესორის (12 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (10 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:

- ევროპისმცოდნეობა (1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 2 ასისტენტ პროფესორი);
- ისტორია/არქეოლოგია (1 პროფესორი, 2 ასოცირებული პროფესორი);
- ფსიქოლოგია (2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი; 4 ასისტენტ პროფესორი, 4 ასისტენტი);
- სოციოლოგია (2 პროფესორი, 5 ასოცირებული პროფესორი; 3 ასისტენტ პროფესორი, 3 ასისტენტი);
- ინგლისური ფილოლოგია (1 პროფესორი, 3 ასოცირებული პროფესორი; 3 ასისტენტ პროფესორი, 3 ასისტენტი);
- კინომცოდნეობა (3 ასოცირებული პროფესორი).

საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

ბ) ასოცირებული პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

გ) ასისტენტ პროფესორისთვის

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- სასურველია დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის 2- წლიანი გამოცდილება.

დ) ასისტენტისთვის

- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2- წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია; III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge;

გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!

კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

საბუთების მიღება: 2017 წლის 9 იანვრიდან 2017 წლის 9 თებერვლის ჩათვლით

კვლევა

ცხოვრება სიღარიბის ზღვარს მიღმა

ლალი ჯელაძე

„ყოველი მეხუთე ბავშვი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს, ხოლო ყოველი მეექვსე საარსებო მინიმუმზე ნაკლებს მოიხმარს. მიუხედავად იმისა, რომ გაიზარდა ოჯახების საშუალო მოხმარება, არ შეცვლილა მათი შემოსავალი. ღარიბ ბავშვებს კვლავ ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, ისწავლონ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ვიდრე მათ თანატოლებს მდიდარი ოჯახებიდან“ – ეს არის ამონარიდი იუნისეფის მიერ ჩატარებული „მოსახლეობის კეთილდღეობის“ კვლევიდან, რომელიც ყოველ ორ წელიწადში ერთხელ ტარდება და სწავლობს ოჯახების მდგომარეობას საქართველოს ხელისუფლების მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე.

2015 წლის მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის მიხედვით, რომელიც იუნისეფმა ახლახანს გამოაქვეყნა, 4533 გამოკითხული ოჯახის აზრით, ტენდენცია სიღარიბის კლებისკენ მიდის, თუმცა ეს ტენდენცია არ აისახა ღარიბ ბავშვებზე და მათ 2.5%-ს უკიდურეს სიღარიბეში უწევს ცხოვრობა. იმ შემთხვევაში, თუ ბავშვები არ მიიღებენ მიზნობრივ სოციალურ დახმარებას, მათი რიცხვი კიდევ უფრო გაიზრდება და საერთო რაოდენობის 8.9%-მდე აიწევს. როგორც ექსპერტები განმარტავენ, მიზნობრივი სოციალური დახმარება ყველაზე დიდ ზემოქმედებას ახდენს ბავშვთა სიღარიბის შემცირებაზე.

კვლევამ სამომხმარებლო სიღარიბის, მატერიალური დეპრივაციის, სუბიექტური სიღარიბის და სოციალური თანასწორობის მაჩვენებლები შეისწავლა, რომლის მიხედვითაც გამოიკვეთა, რომ სიღარიბის მაჩვენებლები შემცირდა, მაგრამ ყველაზე დაუცველ ჯგუფად საქართველოში ისევ ბავშვები რჩებიან. გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში **ლაილა ომარ გადი** ამ ფაქტს ეხმაურება და აღნიშნავს, რომ: *„საქართველოს სოციალური დაცვის სისტემა უნდა პასუხობდეს სოციალურ გამოწვევებს, რომლებიც დგას მისი მოსახლეობის, განსაკუთრებით კი, ბავშვების წინაშე. ბავშვის უფლებათა დაცვა ახლა ისე აუცილებელია, როგორც არასდროს – არსებითია უფრო ძლიერი და სტაბილური საზოგადოების ჩამოყალიბებისათვის. საჭიროა მეტი ინვესტიცია ყველაზე დაუცველი ბავშვებისათვის, სხვაგვარად გვექნება ნელი ზრდა, მეტი უთანასწორობა და ნაკლები სტაბილურობა“.*

ქვეყანაში სიღარიბის დონე განსაკუთრებით უფრო მაღალი იმ ოჯახებშია, სადაც ბავშვები ჰყავთ. განსხვავებაა ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ოჯახებს შორისაც და ბავშვთა სიღარიბის დონე 50%-ით უფრო მაღალია სოფლად, ვიდრე ქალაქში. კვლევის უახლესი მონაცემების თანახმად, ოჯახების საშუალო შემოსავალი 2013-2015 წლებში არ გაზრდილა, მოხმარების საშუალო მაჩვენებელი კი გაიზარდა – ხალხი ხარჯავს მეტს, მაგრამ არ აქვს მეტი შემოსავალი.

უკიდურესი სიღარიბის (1.25 აშშ დოლარი დღეში, რაც სამ ლარზე ნაკლებია) დონე შემცირდა, 2013 წელთან შედარებით, 3.9-დან 2.1 პროცენტამდე მოსახლეობაში, ხოლო 6-დან 2.5 პროცენტამდე – ბავშვებში.

ზოგადი სიღარიბის (ზოგადი სიღარიბის ზღვარია დღეში 2.5 აშშ დოლარი, დაახლოებით 5 ლარზე ნაკლები) დონე მოსახლეობაში 2013 წლის 24.6 პროცენტიდან 18.4 პროცენტამდე, ხოლო ბავშვებში 28.4-დან 21.7 პროცენტამდე შემცირდა.

იმატა ადამიანთა მიერ სიღარიბეში ყოფნის სუბიექტურმა განცდამ – ძირითად პრობლემებად, რასაც მოსახლეობა აწყდება, გაზრდილი ფასები, მძიმე ავადმყოფობა და ოჯახების შემოსავლის შემცირება დასახელდა. ოჯახების მიერ ჯანდაცვაზე გაწეული საშუალო ხარჯი 31%-ით გაიზარდა და მედიკამენტების შეძენა ჯანდაცვაზე გაწეული მთლიანი ხარჯების მთავარ კომპონენტად რჩება.

სიღარიბის დაბალი მაჩვენებელი პირდაპირ კავშირშია ოჯახში განათლების დონესთან, მეტი განათლება უდრის ნაკლებ სიღარიბეს. კვლევაში გამოკვეთილია სიღარიბის მაჩვენებლების გავლენა ბავშვის განვითარებაზე და მათ შორის იმ სხვაობაზეც, რაც ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორისაა. მოსახლეობის კეთილდღეობის კვლევის შერჩევაში მოხვედრილი 3-5 წლის ბავშვების 62.3% დადიოდა საბავშვო ბაღში. ეს მაჩვენებელი გაზრდილია წინა კვლევასთან შედარებით, რადგან 2013 წლის კვლევის მაჩვენებლებით 57.9% იყო. საბავშვო ბაღის, თითქმის, ყველა აღსაზრდელი სახელმწიფო საბავშვო ბაღში დადის. საერთო ჯამში კი, ბაღებში დასწრების მაჩვენებელი ქალაქებში უფრო მაღალია, ვიდრე სოფლებში. სამწუხაროდ, სოფლებში ბავშვების 18% ვერ იღებს სკოლამდელ მომსახურებას საბავშვო ბაღის შენობების არარსებობის ან დაწესებულებებში თავისუფალი ადგილის არქონის გამო. ინფრასტრუქტურის არარსებობის შემთხვევები სოფლებში უფრო ხშირია (20.7%), ვიდრე ქალაქებში (1.9%).

ძალიან კარგი მაჩვენებლები გამოავლინა კვლევამ იმ თვალსაზრისით, რომ ბავშვების 83.3% უფროსებთან ერთად იყო ჩართული სკოლამდელი განათლების აქტივობებში, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ბავშვთა სწავლისა და სკოლისთვის მზაობის პროცესს. ბავშვებთან დაკავშირებულ აქტივობებში უფროსთა ყველაზე მაღალი, 100%-იანი, ჩართულობა სამეგრელოში დაფიქსირდა, ყველაზე დაბალი კი – მცხეთა-მთიანეთში – 66.1%. სამწუხაროდ, სიღარიბის კვალი იკვეთება საბავშვო წიგნების ხელმისაწვდომობაზეც და კვლევის მიხედვით, საქართველოში, 35-დან 59 თვის ჩათვლით, ბავშვების მხოლოდ 58%-ს აქვს სამი ან მეტი საბავშვო წიგნი. მკვეთრი სხვაობა დაფიქსირდა, საბავშვო წიგნებზე ხელმისაწვდომობის კუთხით, ქალაქსა და სოფლად მცხოვრებ ბავშვებს შორისაც – ქალაქში მცხოვრები ბაშვების 73.7%-ს მიუწვდება ხელი საბავშვო წიგნებზე, ხოლო სოფლად მცხოვრები ბავშვების მხოლოდ 40.4% -ს. ამასთან ერთად, ბავშვის ადრეულ ასაკში განვითარების ინდექსის მიხედვით, 3-დან 5 წლამდე ბავშვების მხოლოდ 88.4% ვითარდება სწორად.

რაც შეეხება სკოლაში სიარულს, ამ მხრივ არანაირ განსხვავებას არ გვაძლევს ღარიბ და მდიდარ ფენის წარმომადგენელი ბავშვების საცხოვრებელი ადგილი, განსხვავებას მხოლოდ მათი სოციალური სტატუსი განსაზღვრავს – მდიდარი ფენის წარმომადგენელ ბავშვთა 96% დადის სკოლაში, ხოლო ღარიბ ბავშვთა – 79%; სკოლაში ქალაქებში 12-18 წლის ასაკის ბავშვთა 95.1% სწავლობს, ხოლო სოფლად – 87. 7%. მკვეთრი განსხვავება ფიქსირდება უმაღლეს განათლებაში, უმაღლეს სასწავლებლებში ღარიბი ოჯახებიდან მხოლოდ 16% -ს შეუძლია მიიღოს რაიმე სახის განათლება მაშინ, როცა ეს მაჩვენებელი მდიდრებში 62% -ს აღწევს.

მონაცემები გვიჩვენებს, რომ ოჯახების 38%-ში 16 წლამდე ასაკის ერთი ბავშვი მაინც ცხოვრობს. ამ ბავშვებისთვის სიღარიბის მაჩვენებელმა დაიკლო, თუმცა ბავშვები კვლავ უფრო მეტად დგანან სიღარიბის საფრთხის წინაშე, ვიდრე, ზოგადად, მოსახლეობა ან პენსიონერები. საგულისხმოა ისიც, რომ ბავშვიანი ოჯახების 46% სოფლებში ცხოვრობს, ამის პარალელურად კი ბავშვთა სიღარიბის მაჩვენებლები 50%-ით უფრო მაღალია სოფლებში ქალაქთან შედარებით.

ჩვენს ქვეყანაში ბავშვის ყოლა ოჯახის შემოსავალსა და ხარჯზეც საკმაოდ რთულად აისახება. როგორც კვლევის ავტორები ამბობენ, ბავშვიან ოჯახებში საშუალო შემოსავალი 33%-ით მაღალია ბავშვის გარეშე მცხოვრებ ოჯახებთან შედარებით, თუმცა საბოლოოდ, შემოსავლების გადანაწილების კუთხით, სურათი რადიკალურად იცვლება, რადგან ბავშვიან ოჯახებში საშუალო მოხმარება 50%-ით უფრო მაღალია, ვიდრე იმ ოჯახებში, სადაც ბავშვები არ ცხოვრობენ.

„ყველა ბავშვს აქვს უფლება, გაიზარდოს ჯანმრთელი და ძლიერი, იყოს განათლებული და დაცული, ჰქონდეს ისეთივე შესაძლებლობები ცხოვრებაში, როგორც სხვა ბავშვებს. ჩვენი ვალდებულებები ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით უნდა შეესატყვისებოდეს ჩვენს ქმედებებს თითოეული ბავშვისათვის. სოციალური უთანასწორობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია შემუშავდეს ბავშვის უფლებათა დაცვის მრავალმხრივი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების უფრო ძლიერ სისტემებს საქართველოში თითოეული ბავშვის ცხოვრების გასაუმჯობესებლად“, – ამბობს ლაილა ომარ გადი, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში.

რა შეიცვალა ბოლო, 2013 წლის, კვლევიდან 2015 წლის კვლევამდე და რა დადებითი და უარყოფითი ტენდენციები გამოიკვეთა – ამის შესახებ იუნისეფის წარმომადგენელი **მაია ქურციკიძე** აღნიშნავს, რომ 2013 წელთან შედარებით შემცირდა სიღარიბის მაჩვენებელი, თუმცა გაიზარდა ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯები მოსახლეობის მხრიდან, რაც, ძირითადად, მედიკამენტების შეძენაზე მოდის. ასევე გაიზარდა სკოლამდელ დაწესებულებებში ბავშვების ჩართულობა, მაგრამ, ამასთანავე, გაიზარდა სუბიექტური განცდა, მოსახლეობა მიიჩნევს, რომ მათი მდგომარეობა გაუარესდა. მაია ქურციკიძე ამბობს, რომ მსგავსი კვლევების ჩატარება მნიშვნელოვანია, რადგან მისი მთავარი მიზანი მთავრობისა და საზოგადოების ყურადღების გამახვილებაა – სოციალური დაცვის პროგრამა, უკიდურესად გაჭირვებულ ოჯახებთან ერთად, სხვა დაუცველ ოჯახებზეც უნდა მოქმედებდეს.

კვლევის მიხედვით, მოსახლეობაში გაზრდილია სუბიექტური სიღარიბე. ოჯახების თქმით, ვერ უზრუნველყოფენ საკუთარ თავს საკმარისი საკვებით ან ცუდად იკვებებიან, მათ ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება. მოსახლეობის 36%-ს მიაჩნია, რომ ღარიბია, თუმცა, რეალურად, თუკი მატერიალური სიღარიბის მაჩვენებლებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ ყველა ჯგუფი იმაზე ბევრად უფრო პესიმისტურად აფასებს საკუთარ მდგომარეობას, ვიდრე მათი სამომხმარებლო სიღარიბის მონაცემებია. *„ეს კიდევ ერთხელ აჩენს კითხვას – კვლავაც ასახავს თუ არა რეალურ მდგომარეობას სიღარიბის საზომად წინა წლებში გამოყენებული ფულადი ზღვრები“* – ვკითხულობთ კვლევის ანგარიშში.

2015 წლისთვის უმთავრეს პრობლემად ოჯახები, ყველაზე ხშირად, ოჯახის წევრების უმუშევრობას და მედიკამენტების ყიდვას ასახელებდნენ. მესამე, ყველაზე ხშირად დასახელებულ პრობლემად, საბანკო სესხების დაფარვა იქცა.

კვლევის თანახმად, გაიზარდა ოჯახის მიერ ჯანდაცვაზე გაწეული ხარჯი, რაც ნიშნავს, რომ ოჯახის წევრი, წელიწადში, ჯანდაცვაზე 347 ლარს ხარჯავს, 2013 წელს ეს ციფრი 243 ლარი იყო. ჯანდაცვის ხარჯები მოიცავს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, ექიმებთან ვიზიტებს, სამედიცინო პროცედურებს, ქირურგიულ ოპერაციებს, ჰოსპიტალურ მომსახურებას, ორსულობის მონიტორინგს, ქალთა კონსულტაციას, რეგულარულ სამედიცინო შემოწმებას, იმუნიზაციის ხარჯს, მზრუნველობისა და მოვლის ხარჯებს, მედიკამენტების შესყიდვას, სამედიცინო დაზღვევის გადასახადებს და სხვა არაფორმალურ ხარჯს.

იუნისეფში აცხადებენ, რომ საქართველოში სიღარიბე დინამიური პროცესია და ამიტომაც სახელმწიფომ მოსახლეობას სტაბილური განვითარების პირობები უნდა შესთავაზოს. თითოეული ბავშვის ცხოვრების გასაუმჯობესებლად ის სახელმწიფოს რეკომენდაციებს აძლევს და მოუწოდებს, შეიმუშაოს ბავშვის უფლებათა დაცვის მრავალმხრივი სტრატეგია, რომელიც ითვალისწინებს სოციალური, ჯანმრთელობის დაცვის და განათლების უფრო ძლიერ სისტემებს საქართველოში. რაც მთავარია, ურჩევს, ქვეყანამ სოციალური დაცვის სისტემა ისე გააძლიეროს, რომ პასუხობდეს ყველა იმ გამოწვევას, რომელიც მისი მოსახლეობის წინაშე დგას, განსაკუთრებით კი ბავშვების. უფლებადამცველი **ანა არგანაშვილი** მიიჩნევს: *„მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად ქვეყანაში დადებითი ტენდენციაა, ბავშვები ჯერ კიდევ ისევ ყველაზე გარიყული ჯგუფია. მათ,სამწუხაროდ, ნაკლებად ეხებათ ის პოზიტივი, რაც მოსახლეობის სხვა ჯგუფისთვისაა, არადა, ცალსახაა, რომ პირიქით უნდა იყოს, იმიტომ რომ, ბავშვები ყველაზე მეტად ზარალდებიან სიღარიბით, მათ ყველაზე ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, სიღარიბის ეფექტი გამოასწორონ“.*

რეკომენდაციები

1. სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების დაცვა მრავალმხრივი დეპრივაციისგან: **სოციალური გარიყულობის აღმოსაფხვრელად მნიშვნელოვანია შემუშავდეს სტრატეგია ბავშვის უფლებებისთვის, რომელიც მოიცავს მრავალ სფეროს და შესაბამისობაში იქნება ბავშვის უფლებათა კონვენციასთან.**

2. ქრონიკულად ღარიბი ჯგუფების, მათ შორის, სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების დაცვა. **არსებულ სოციალურ დაცვის სისტემას შეზღუდული წვდომა აქვს ამ ჯგუფზე. შესაბამისად, დამატებითი, კარგად დაგეგმილი შეღავათებია საჭირო, რომ ამ ბავშვებმა თავი დააღწიონ სიღარიბეს და დაირღვეს სიღარიბისა და დეპრივაციის თაობათაშორისი ციკლი, სადაც ბავშვები და ოჯახები ხვდებიან.**

3. საბედისწერო მოვლენების შედეგად ოჯახების გაღარიბების პრევენცია. **საჭიროა დაუცველი ოჯახების დროული უზრუნველყოფა სოციალური დაცვით, რომ მათ შეძლონ ადეკვატურად გაუმკლავდნენ ისეთ საბედისწერო მოვლენებს, როგორიცაა უმუშევრობა და ავადმყოფობა, ისე რომ არ გაღატაკდნენ.**

4. მონაცემების გაუმჯობესებული შეგროვება ქრონიკულად ღარიბი ჯგუფების და სიღარიბეში მცხოვრები ბავშვების უკეთ გამოვლენისა და დაცვის მიზნით: **საჭიროა გადაიდგას ნაბიჯები, რომ გაუმჯობესდეს მიზნობრიობა ყველაზე დაუცველი ჯგუფების, განსაკუთრებით კი ბავშვების მოცვის მიზნით. მონაცემთა შეგროვების უფრო ქმედითი მეთოდოლოგია და პრაქტიკა ხელს შეუწყობს საზოგადოების ყველაზე დაუცველი ჯგუფების უკეთ მოცვას.**

5. მედიკამენტებზე უკეთესი წვდომა დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: **საჭიროა დედებს და ბავშვებს მეტად მიუწვდებოდეთ ხელი მედიკამენტებზე საბაზისო პაკეტებისა და სუბსიდირებული სქემების მეშვეობით.**

6. ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემის გაძლიერება: **ჯანდაცვის ეროვნული ანგარიშების სისტემა უზრუნველყოფს სტანდარტულ ჩარჩოს ყოვლისმომცველი, თანმიმდევრული და საერთაშორისო ინდიკატორებთან შედარებადი ბაზის შესაქმნელად, რომელიც დააკმაყოფილებს საჯარო და კერძო სექტორის ჯანდაცვის ანალიტიკოსებისა და პოლიტიკის შემქმნელების მოთხოვნებს.**

7. ადრეული და სკოლამდელი აღზრდის და განათლების კანონის განხორციელება ყველა ბავშვისთვის ხარისხიანი და ინკლუზიური სკოლამდელი განათლების უზრუნველსაყოფად: **2016 წლის ივნისში მიღებული ადრეული და სკოლამდელი განათლების კანონი ითვალისწინებს უფასო სკოლამდელ განათლებას ყველა ბავშვისთვის და ეროვნული სტანდარტების და სკოლამდელი დაწესებულებების ავტორიზაციის სისტემის შემოღებას. კანონის განხორციელებას დასჭირდება სექტორში დამატებითი ინვესტიციები, მუნიციპალური თვითმმართველობების წარმომადგენელთა კვალიფიკაციის ამაღლება და გაუმჯობესებული სისტემები სკოლამდელი განათლების პედაგოგების ხარისხიანად მოსამზადებლად პროფესიული საქმიანობის დაწყებამდე და მუშაობის პერიოდში.**

8. საგანმანათლებლო სისტემის პოტენციური მიტოვების მაჩვენებლების შემცირების მექანიზმების შემუშავება: **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა არ აქვეყნებს სკოლიდან განთესილი ან ამგვარი რისკის წინაშე მყოფი ბავშვების რაოდენობას. ცალკეული შემთხვევების თანახმად, საშუალო სკოლის მიტოვების ძირითადი მიზეზებია უკიდურესი სიღარიბე, ბავშვებში სწავლის დაბალი მოტივაცია და უნარები და ადრეული ქორწინება. უნდა შემუშავდეს მექანიზმები სკოლის პოტენციური მიტოვების დასარეგულირებლად. განათლების მეორე შანსის პროგრამები უნდა დაინერგოს ფორმალური და არაფორმალური განათლების დაწესებულებებში, რომ სკოლის მიღმა დარჩენილ ბავშვებს შეეძლოთ ხარისხიან და ინკლუზიურ განათლების სისტემაში შესვლა ან დაბრუნება.**

ინტერვიუ

განათლების პოლიტიკა და სოცუზრუნველყოფის პოლიტიკა ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ

განათლების სისტემაში ბევრი ცვლილება დაანონსდა. მინისტრმა განაცხადა, რომ სამინისტროს სამვადიანი სტრატეგია აქვს: „ერთი არის მოკლევადიანი, ანუ რაც შედეგს მოიტანს მომავალი წლის გოლომდე, მეორეა ის ღონისძიებები, რომელიც შედეგს მოიტანს 2018-2019 წლებში და მესამე ჯგუფი ღონისძიებების, რაც შედეგს მოიტანს 2020 და შემდგომი წლების განმავლობაში“. მინისტრის მიერ გახმოვანებულ ინიციატივებს საზოგადოებაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა და მოლოდინი – რეალურად რა შეიცვლება სისტემის გაუმჯობესებისთვის. ცვლილებამდე კი, რა გამოწვევების წინაშე დგას დღეს ჩვენი განათლების სისტემა, რატომ არ არის საზოგადოებაში სკოლის ფუნქცია სწორად გააზრებული, როგორ დირექტორებს უნდა ვანდოთ 21-ე საუკუნის სკოლები, რატომ ვერ შეუწყო ხელი ერთიანმა ეროვნულმა გამოცდებმა სკოლების განვითარებას და სად დაიკარგა კავშირი სკოლასა და უმაღლესს შორის – ამ და სხვა თემებზე საუბრობს სამოქალაქო ინტეგრაციისა და ეროვნებათშორისი ურთიერთობების ცენტრის თავმჯდომარე **შალვა ტაბატაძე.**

– რა არის დღევანდელი სკოლის ძირითადი გამოწვევა?

– სამწუხაროდ, ჯერ კიდევ საბჭოთა სკოლის ძირითად მახასიათებლებს ვინარჩუნებთ როგორც ორგანიზების (სისტემის დალაგების), ისე სასკოლო ცხოვრებისა და სწავლების პრაქტიკის თვალსაზრისით, ასევე, ინფრასტრუქტურული, განლაგებისა და რაოდენობის და ურთიერთობების თვალსაზრისითაც. სკოლას რეფორმირება არ განუცდია. მიუხედვად იმისა, რომ რეფორმა ჩატარდა დეცენტრალიზაციისა თუ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მიმართულებებით, მთავარ გამოწვევად მაინც რჩება იმის გააზრება, როგორ შევქმნათ დღევანდელი ეპოქის შესაბამისი სკოლა. მეტ-ნაკლებად, იდეების დონეზე, ეს გააზრებულია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებში, მაგრამ ახლა მთავარია, ვიცოდეთ, როგორ მივაღწიოთ ამას რეალობაში. სისტემა, რომელიც საბჭოთა კავშირის დროს არსებობდა, შეიძლება კონკრეტული ქვეყნის მიზნებისთვის იდეალური იყო, თუმცა, ჩვენ 21-ე საუკუნეში ვცხოვრობთ და სულ სხვა მოცემულობა გვაქვს. ამიტომ უნდა დავივიწყოთ, რომ საბჭოთა სკოლა იყო კარგი (თუმცა, საკამათოა კარგი იყო თუ ცუდი), მთავარია, ვიცოდეთ, რომ დღეს ის არაფერს მოგვცემს. სამწუხაროდ, მასწავლებლებისა და მშობლების ნაწილს ჯერ კიდევ აქვს საბჭოთა სკოლის ნოსტალგია. ხშირად, როცა მინისტრის კომენტარებს ვუსმენ, ის სისტემას ხედავს საკუთარი პერსპექტივითა და საკუთარი გამოცდილებით სკოლაში – რა გამოცდილება ჰქონდა მას სკოლაში, როგორი მასწავლებლები ჰყავდა და რას აკეთებდნენ ისინი გაკვეთილზე, მოსწავლეები სამოსნები იყვნენ სკოლაში, მაგრამ მათ ურთიერთობა ისწავლეს ქუჩაში და დღეს წარმატებულები არიან და ა.შ. მინისტრის რიტორიკა არ სცდება საკუთარ გამოცდილებას სკოლაში და მას, სამწუხაროდ, საბჭოთა სკოლის გამოცდილება აქვს. ის ფიქრობს, რომ რაც იქ იყო კარგი, თავისი მსოფლმხედველობით, საბავშვო პერსპექტივით, ის დააბრუნოს, ცუდი კი შეცვალოს. რეალურად კი, საბჭოთა სკოლას თავი უნდა დავანებოთ და მხოლოდ იმაზე ვიფიქროთ, როგორი სკოლა გვჭირდება 21-ე საუკუნეში. შესაბამისად, ჩვენი მიზანი და ნებისმიერი მინისტრის მიზანი უნდა იყოს 21-ე საუკუნის მოთხოვნების შესაბამისი სკოლის შექმნა და იმ გზების ძებნა, რა უნდა გაკეთდეს ამისთვის. სწორედ ამის მიხედვით უნდა განვითარდეს მასწავლებელთა მომზადების პროგრამები უმაღლეს სასწავლებლებში, მასწავლებელთა გადამზადების პროგრამები, სკოლის დირექტორის არჩევისა და შერჩევის საკითხები და მათი პროფესიული განვითარება. ამის მიხედვით უნდა განისაზღვროს მისი როლი სასკოლო ცხოვრებაში და დღევანდელი დირექტორის ფუნქცია ამით ჩავანაცვლოთ, რადგან სკოლის დირექტორების საქმიანობა დღეს საბუღალტრო შესყიდვებისა და ტექნიკურ-ადმინისტრაციული საკითხებით შემოიფარგლება.

– მაინც როგორი დირექტორი სჭირდება დღევანდელ სკოლას?

– სკოლა რეალურად იმ საზოგადოების მინი-მოდელი უნდა იყოს, რომელშიც ცხოვრობენ და სკოლის გარეთ, შემდგომში, მოუწევთ ყოფნა ადამიანებს. ამიტომაც სკოლიდან სხვა სისტემაში ტრანზიცია არ უნდა იყოს რთული. მაგრამ წარმოიდგინეთ, როგორ უნდა გავზარდოთ ლიდერი, აქტიური და კრიტიკულად მოაზროვნე ბავშვები გარემოში, სადაც ისინი ხედავენ, რომ სკოლის დირექტორი მორჩილია და დამოუკიდებლად ელემენტარულ გადაწყვეტილებას ვერ იღებს; ხედავს მასწავლებელს, რომელიც ემორჩილება სკოლის დირექტორს. ემორჩილება და მის მიღმა ვერც კი იხედება, ურთიერთობაშიც არ არის თავისუფალი; ამჩნევს იმასაც, რომ მისი ხმა სასკოლო ცხოვრებაში არც ისე შესამჩნევია (ან ხმამაღალია). ეს არ გულისხმობს მაინცდამაინც მოსწავლეთა თვითმმართველობაში მონაწილეობას, არამედ – დემოკრატიულ ინტერაქციას სასწავლო პროცესში. ჩვენ ვზრდით ან გვინდა გავზარდოთ დემოკრატიული საზოგადოების წევრი მოქალაქეები არადემოკრატიულ გარემოში. არადა, თავისუფალ აზროვნებას და კრიტიკულად მოაზროვნე ადამიანს მარტო სასწავლო პროცესი არ აყალიბებს, რომელიც უშუალოდ კლასში გაკვეთილის სახით ხორციელდება, არამედ ის სასკოლო კლიმატი და გარემო, რომელშიც უწევს ცხოვრება მოსწავლეს.

დეცენტრალიზაცია, თავისთავად, მიზანი არ არის, ის ინსტრუმენტია მინი-საზოგადოების შესაქმნელად. მინი-საზოგადოება უნდა იყოს დამოუკიდებელი ერთეული, რომელიც დამოუკიდებლად მართავს სკოლას. თუმცა, დირექტორის არჩევის შემთხვევაში, შეიძლება განვიხილოთ არა მხოლოდ სამეურვეო საბჭოს მიერ მისი არჩევა, არამედ პროფესიული ნიშნით მისი სკოლაში წარგზავნა. შესაძლოა შერეული სისტემაც არსებობდეს. სამინისტრო დარწმუნებული უნდა იყოს, რომ დირექტორი პროფესიული ნიშნითაა კარგად მომზადებული (პროფესიული და არა პოლტიკური) და ამ ნიშნის გათვალისწინებით ირჩევს სკოლა მისთვის ყველაზე სასურველს. ჩვენ უნდა გვყავდეს 2000 კარგად მომზადებული დირექტორი, ყველაზე მაგარი პროფესიონალები, თუნდაც 10-ათასიანი ხელფასით, თუნდაც გაგზავნილები მთის რეგიონში და ა.შ. სწორედ მათ ხარჯზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და სასკოლო პროცესების მართვა უნდა გადავიტანოთ თბილისიდან რეგიონებში – სკოლებში. ასეთ კარგად მომზადებულ და პროფესიონალ 2000 დირექტორს (თუმცა, ვფიქრობ, რომ ამდენი სკოლა და, შესაბამისად, დირექტორი არ გვჭირდება) უნდა მივანდოთ სკოლის ბედი. მთავარი აქცენტი ისეთ დირექტორებზე უნდა გავაკეთოთ, რომლებიც შექმნიან თავიანთ სკოლებში პროფესიული განვითარების კულტურას და ისეთ მინი-საზოგადოებას, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს დაემყარება. აი, ასეთი დირექტორი გვჭირდება, რომელსაც ვანდობთ სკოლას. მათ კი აუცილებლად უნდა მივცეთ მერე ის ინსტრუმენტები, რომლის საშუალებითაც შეძლებენ სკოლის ფუნქციის აღდგენას.

– როგორ ფიქრობთ, არის თუ არა ჩვენს საზოგადოებაში სკოლის ფუნქცია სწორად გააზრებული?

– საზოგადოებაში სკოლის ფუნქციის გააზრება არასწორია, რადგან ის ფიქრობს, რომ სკოლამ ბავშვი უმაღლესი განათლებისთვის, გამოცდებისთვის უნდა მოამზადოს. რეალურად კი, ეს სკოლის ერთ-ერთი ფუნქციაა და არა მთავარი. სინამდვილეში ასეთი ვითარებაა: საზოგადოება სკოლას ანიჭებს ფუნქციას მისაღები გამოცდებისთვის მოამზადოს ახალგაზრდა, მაგრამ სასკოლო ცხოვრებას არანაირი გავლენა არ აქვს მისაღებ გამოცდებზე. ანუ არანაირი გავლენა არ აქვს მისაღებ გამოცდებზე იმას, თუ რა გააკეთა მოსწავლემ სკოლაში 12 წლის განმავლობაში. შესაბამისად, დაიკარგა კავშირი სკოლასა და უმაღლესს შორის. მინისტრის პოზიციას, რომ სკოლა ცხოვრებისთვის უნდა ამზადებდეს მოსწავლეს და არა მხოლოდ გამოცდებისთვის, ვეთანხმები, თუმცა მინისტრი ამას არ უნდა ამბობდეს. იმიტომ, რომ ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით და ეროვნული სასწავლო გეგმით მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, რისთვის ამზადებს სკოლა ბავშვს. საზოგადოების მოთხოვნა, გამოცდისთვის მოამზადოს სკოლამ ბავშვი, სისტემის მინუსია, რომელიც მინისტრმა უნდა გამოასწოროს და ამას შეთანხმება აღარ სჭირდება. პოლიტიკური ნება და მინისტრის გადაწყვეტილებებია საჭირო, რომ სკოლამ კუთვნილი ფუნქცია დაიბრუნოს. ამდენად, მინისტრმა კი აღარ უნდა არკვიოს, რაც განსაზღვრულია, არამედ უნდა აღასრულოს. თუმცა, თავისთავად, გამოცდებისთვის მომზადებაც არ გამორიცხავს ცხოვრებისთვის მომზადებას, ამიტომ ცხოვრებისთვის რომ უნდა მოამზადოს, ეს ფუნქცია უნდა გავუძლიეროთ სკოლას, ხოლო ცხოვრებისთვის და გამოცდებისთვისაც რომ უნდა მოამზადოს, ეს ფუნქციაც უნდა დავუბრუნოთ.

– სად დავკარგეთ კავშირი სკოლასა და უმაღლესს შორის?

– 2005 წელს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შემოღება უდავოდ ძალიან პროგრესული და მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო. ამით გაჩნდა ინსტრუმენტი კორუფციის აღმოსაფხვრელად. თუმცა, მაინცდამაინც კორუფციის აღმოფხვრა არ არის პირველადი მიზანი, ისიც ერთ-ერთი საშუალებაა უფრო დიდი მიზნის – უმაღლეს სასწავლებლებში თანასწორობის – მისაღწევად. ყველა აბიტურიენტს უნდა მიეცეს უმაღლეს სასწავლებელში ჩარიცხვის უფლება და ეს მართლაც ასე მოხდა. როგორც იქნა, ამით მოვსპეთ მხოლოდ სოციალურად დაწინაურებული ადამიანების პრივილეგია – ვისაც ფული ჰქონდა, ის რომ ხვდებოდა უმაღლეს სასწავლებელში. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა ინსტრუმენტი, რომელმაც აღმოფხვრა კორუფცია და ჩამოაყალიბა ობიექტური გამოცდების სისტემა, საბოლოოდ მიზანს მაინც ვერ მივაღწიეთ. ისეთ ფაკულტეტებზე, რომელიც უზრუნველყოფს კარგ დასაქმებას და კარგ შემოსავალს, ისევ მაღალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე ადამიანები გვხვდებიან, ანუ ამ ინსტრუმენტით სოციალური მობილობის ზრდას ვერ მივაღწიეთ. აქვე გეტყვით იმასაც, რომ 2005-დან 2016 წლამდე იმავე დონეზე დავრჩით და ვერ განვითარდით. გამოცდების სისტემამ ვერც სკოლების განვითარებას შეუწყო ხელი, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში უნდა ყოფილიყო გათვლილი, სასკოლო ცხოვრებას – სკოლის ნიშანს თუ სასკოლო გამოცდებს გარკვეული გავლენა-მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა მისაღებ გამოცდებზე. აი, აქ დაიკარგა კავშირი სკოლასა და უმაღლესს შორის.

გარდა ამისა, მისაღებმა გამოცდებმა უმაღლესებს სრულიად წაართვა სტუდენტთა შერჩევის პროცესში მონაწილეობის უფლება, ეს კი მათ განვითარებასა და ინტერესებს, რასაკვირველია, აფერხებს. თუმცა, სამაგისტრო დონეზე, უმაღლესებს ეს ფუნქცია აქვთ და ამას კორუფცია არ დაუბრუნებია სისტემაში. აქედან გამომდინარე, შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ასეთი შერეული მოდელის პირობებში კორუფცია არ დაბრუნდება უმაღლეს სასწავლებლებში და მათ მეტი როლი და დაინტერესება ექნებათ სწორად შეარჩიონ სტუდენტები, მხოლოდ ისინი, ვინც მათ სჭირდებათ. ამავდროულად, მისაღები გამოცდების სისტემამ უნდა უზრუნველყოს ხარისხის განვითარება სკოლაში, პოზიტიურად უნდა შეუწყოს ხელი სკოლის ფუნქციის აღდგენას და ინტერესს, რომ სკოლაში განათლების ხარისხმა აიწიოს. სამწუხაროდ, დღეს ეს ინტერესი ფუნქციურად არ არსებობს, საზოგადოების აღქმაც ასეთივეა. ფაქტობრივად, სკოლა გამოვფიტეთ და უფუნქციოდ დავტოვეთ.

– მასიური უმაღლესი განათლების იდეას მინისტრი არ ემხრობა და ამბობს, რომ დღეს უმაღლეს სასწავლებელში აბიტურიენტთა 80 პროცენტი აბარებს, ეს კი სწავლის ხარისხზე ცუდად აისახება და მისი აზრით, უმაღლესი განათლება, თუნდაც 20 პროცენტისთვის, საკმარისია. თქვენი აზრით, როგორ აისახება უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ზრდა ქვეყნის განვითარებაზე?

– ხელმისაწვდომობა და იდეა მასიური უმაღლესი განათლების შესახებ, ეს არის მიმართულება, რომელსაც უკვე ყველა ქვეყანა იზიარებს იმიტომ, რომ მხოლოდ „ელიტების“ მომზადება ვერ უზრუნველყოფს საზოგადოების განვითარებას. ჩვენ ვცხოვრობთ 21-ე საუკუნეში და თუ მე-20 საუკუნეში არ იყო საჭირო უმაღლესი განათლება გარკვეული პროფესიებისთვის, თანამედროვე ტექნოლოგიების პირობებში, ეს ყველა პროფესიისთვის უმნიშვნელოვანესია. თუ განვითარებული ეკონომიკა გვინდა, ამას მხოლოდ „ელიტური“ განათლებით ვერ მივაღწევთ. მეორე მხრივ, ჩვენ გვჭირდება განვითარებული და განათლებული საზოგადოება და არა განათლებული ელიტა და დამორჩილებული საზოგადოება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს იქნება მუდმივად წარუმატებელი საზოგადოება და წარუმატებელი ქვეყანა, ამიტომ უნდა იზრუნოს ქვეყანამ მთლიანად საზოგადოების განათლებაზე და ამის ერთ-ერთ ინსტრუმენტად მასიური და ხელმისაწვდომი უმაღლესი განათლება გაიხადოს. განათლების მიღმა დარჩენილი ადამიანები გაცილებით მეტი ტვირთია სახელმწიფოსთვის, ვიდრე უმაღლესი განათლების მქონე ადამიანები, რადგან განათლების მიღმა დარჩენილების უმეტესობა, ძირითადად, ქუჩაში ინაცვლებს და ასეთი ადამიანებისგან საუკეთესოს არ უნდა ველოდოთ.

– უმაღლესის ალტერნატივად მინისტრი ახალგაზრდებს პროფესიულ განათლებას სთავაზობს?

– პროფესიული განათლება საზოგადოებაში, ზოგადად, უარყოფით კონტექსტშია აღქმული. ამას გარკვეული მიზეზებიც აქვს და ერთ-ერთი მინუსი ის ჩიხია, რომელსაც უმაღლესში სწავლის გაგრძელება ქმნის. მეცხრე კლასიდან ახალგაზრდა თუ პროფესიულ სასწავლებელში წავიდა, ფაქტობრივად, ის უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელების უფლებას კარგავს. ეს დაბრკოლება აუცილებლად უნდა აღმოიფხვრას და ამის გამო მოსწავლემ არ უნდა თქვას უარი პროფესიული განათლების არჩევაზე. მომავალში, თუკი გადაწყვეტს პროფესიული მიმართულება უმაღლესის ხაზით გააგრძელოს, დაბრკოლება არ უნდა შეექმნას. აქედან გამომდინარე, ალბათ, უმჯობესია, პროფესიულ სასწავლებელში ისწავლებოდეს აკადემიური საგნებიც, რომელიც, ფაქტობრივად, ზოგად განათლებასაც მისცემდა ახალგაზრდას. ეს მოდელი გაცილე-

ინტერვიუ

ბით უფრო მიმზიდველს გახდის სკოლის მოსწავლისთვის პროფესიულ სასწავლებელს. დღეს კი, ძირითადად, პროფესიულ განათლებას, 19-21 წლის ახალგაზრდები იღებენ. თუმცა, ამის გარეშეც არაპრესტიჟული და არაპოპულარულია ჩვენს საზოგადოებაში პროფესიული განათლება, მიუხედავად იმისა, რომ დასაქმების თვალსაზრისით, უფრო მეტი შესაძლებლობა აქვს უმაღლესთან შედარებით. შესაძლებელია, ვიფიქროთ უმაღლესისა და პროფესიული განათლების ინტეგრირებული მოდელების დამუშავებაზე, ანუ ადამიანმა, პროფესიულ განათლებასთან ერთად, მიიღოს უმაღლესი განათლებაც და უმაღლესი აკადემიური ხარისხი საბაკალავრო დონეზე. ამით პროფესიულ განათლებას უფრო მაღალ საფეხურზე ავიტანთ. დღეს კი, ძირითადად, პროფესიული განათლება მცირე კურსებით შემოიფარგლება, სადაც ხელობას ეუფლებიან. პროფესიულ განათლებასაც სერიოზული რეფორმირება სჭირდება, თუმცა იმის საფრთხე მაინც არსებობს, რომ „ელიტები“ წავლენ უმაღლესში, ხოლო დანარჩენები დაეუფლებიან ხელობას – სოციალური და საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით ეს მიდგომაც არასწორია.

– სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა სამ უნივერსიტეტში სწავლის ხარისხი გამოიკვლია, რომლის მიხედვით ძალიან დაბალია სტუდენტთა აკადემიური მაჩვენებელი. სხვა მიზეზებთან ერთად მინისტრი დაფინანსების სისტემას ასახელებს და მის შეცვლას გეგმავს. ამბობს, რომ ასეთი დაფინანსების სისტემით სწავლების ხარისხის გაუმჯობესება შეუძლებელია.

– როცა მინისტრი დაფინანსების პრობლემაზე საუბრობს, ამით რეალურ პრობლემაზე საუბარს ერიდება. მას სხვა საკითხებზე გადააქვს აქცენტი, რომელიც, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია, მაგრამ არა გადამწყვეტი პრობლემის მოსაგვარებლად. მიუხედავად იმისა, რომ უმაღლესი განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება ძალიან მცირეა (ასევე ზოგადი განათლების), პრობლემა უფრო მეტად არსებული დაფინანსების ფარგლებში არასწორად მართვა და არასწორი ხედვაა.

როგორ შეიძლება უმაღლესი განათლების განვითარებაზე ლაპარაკი და მისი ხარისხის გაუმჯობესებაზე ფიქრი, როცა ჩვენი პროფესორ-მასწავლებლები ამისთვის მზად არ არიან. დღევანდელ ეტაპზე, ამაზე არავინ საუბრობს, რადგან პოლიტიკური თვალსაზრისით ყველას ეშინია პროფესორების მომდურების, ანუ იმ ელიტის, რომელთა დიდი ნაწილი საბჭოთა ინტელიგენციაა და რომელიც თუ აყვირდა, ყველას პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს, მათ შორის რექტორისას და მინისტრისას. ამიტომ, ამ საბჭოთა გაბატონებულ კლანს დღეს აქვს საკმაოდ დიდი ძალა, ვიდრე სტუდენტებს და ყველა ერიდება მათ გაბრაზებას. ამის გამო საუბრობენ დაფინანსების სიმცირეზე და არავინ არაფერს ამბობს იმაზე, რომ ჩვენ არაკვალიფიციურ პროფესორ-მასწავლებლებს ვაფინანსებთ (ყველას არ ვგულისხმობ, რა თქმა უნდა). რეალურად არაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ სწავლის ხარისხი კვალიფიციური პროფესორების ხარჯზე ავნიოთ და დაფინანასება მეცნიერებაში ახალგაზრდების მოზიდვის მიმართულებით გავზარდოთ. ჩვენ სწორად უნდა გადავწყვიტოთ ექვსი ათასი არაკვალიფიციური პროფესორ-მასწავლებლის შენახვაა პრიორიტეტი თუ ამ თანხით ახალი ათასი პროფესორ-მასწავლებლის მომზადება, თუნდაც საზღვარგარეთ. რა თქმა უნდა, პრიორიტეტი ახალგაზრდა მეცნიერები არიან.

პრობლემაა ისიც, რომ ვერა და ვერ შემოვიდა უმაღლეს სასწავლებლებში სისტემა, რომელიც პროფესორ-მასწავლებლების შერჩევაში მნიშვნელოვან წილს საერთაშორისოდ მიღებულ ინდიკატორებს მიანიჭებს – კვლევებს, მათ გავლენას საერთაშორისო სამეცნიერო წრეებზე, ნაშრომების გამოქვეყნებას და ა.შ. რატომ? იმიტომ რომ, პროფესორთა უმეტესობა ამ კრიტერიუმებს ვერ დააკმაყოფილებს. ანუ ჩვენი პროფესორების მომზადების ხარისხი ძალიან დაბალია და რაც არ უნდა ბევრი ფული დავხარჯოთ, ისინი კარგად მაინც ვერ ასწავლიან, აქედან გამომდინარე, ვერც სწავლის ხარისხს ასწევენ. სამწუხაროდ, უმაღლესი სასწავლებლების პროფესურის 90%-ს სწორედ ასეთი პროფესორ-მასწავლებლები შეადგენენ. აქცენტები ცოტა სხვა მიმართულებით უნდა გაკეთდეს. მესმის, რომ ადამიანების სოციალური დაცულობა მნიშვნელოვანია როგორც სკოლებში, ისევე უმაღლესებში, მაგრამ ერთმანეთისგან უნდა გავმიჯნოთ განათლების პოლიტიკა და სოცუზრუნველყოფის პოლიტიკა. იგივე შემიძლია გითხრათ იმ 21% პენსიონერ მასწავლებელზე, რომელიც დღეს სკოლაში გვყავს (სავარაუდოდ, 20 წლის შემდეგ 50% გვეყოლება). რასაკვირველია, მათი სოციალური დაცვა არ უნდა მოხდეს მოსწავლეთა ხარჯზე, ამაზე სოციალური დაცვის ინსტრუმენტებით უნდა იზრუნონ. სოციალური დაცულობა კარგია მომავალი მასწავლებლების მოსაზიდადაც.

– ახალგაზრდების მოზიდვისთვის სამინისტრომ მასწავლებელთა მომზადების მოკლევადიანი პროგრამა დაიწყო. არის თუ არა ეს სწორად გათვლილი ნაბიჯი კვალიფიციური ახალგაზრდა კადრების სკოლაში შესაყვანად?

– მასწავლებელთა მომზადების პროგრამები დღევანდელი შემადგენლობით, დღევანდელი პროგრამებით, დღევანდელი რესურსებით, ვერ ამზადებენ თანამედროვე მოთხოვნების მასწავლებლებს. თუ არ ვაღიარეთ, რომ მასწავლებელთა განათლების პროგრამებს უმაღლესებში სერიოზული რეფორმა სჭირდება, ბევრ კარგად მოზიდულ აბიტურიენტსაც ცუდად გამოუვა ეს პროგრამა. ერთი მხრივ, მოზიდვა სწორი პოლიტიკაა და დიდი კონკურენციის პირობებშიც კი, აქ საუკეთესოები უნდა ხვდებოდნენ. უნდა შევქმნათ სისტემა, სადაც საუკეთესო მოხვდება და მას დავახვედროთ ყველაზე საუკეთესო პროფესურა, რომელიც პროფესიონალ ახალგაზრდა კადრს გაზრდის. სამწუხაროდ, დღეს ასე არ ხდება. არადა, ამის რესურსი ქვეყანას აქვს. ვფიქრობ, ხელისშემშლელია უმაღლესი განათლების სისტემის ჩაკეტილობაც, რეალურად სისტემაში არ უშვებენ ადამიანებს, რომლებსაც შეუძლიათ კარგი მასწავლებლების მომზადება. ჩვენ გვჭირდება კარგი პროფესორები და მკვლევრები განათლების მიმართულებით, რომელთაც მსოფლიო აღიარება აქვთ და პრაქტიკოსი მასწავლებლები, რომელთაც არ აქვთ აკადემიური ხარისხი, მაგრამ აქვთ ძალიან კარგი ცოდნა და უნარები პრაქტიკაში, როგორ ასწავლონ და გამოზარდონ მომავალი მასწავლებლები. სწორედ ამ ნაზავითაა შესაძლებელი კარგი პროგრამის დაგეგმვა და განხორციელება. რაც მთავარია, ასეთები გვყავს, უბრალოდ, უნდა შევუშვათ ისინი უმაღლესებში.

– მასწავლებლის პროფესიული განვითარება ყველა დროის აქილევსის ქუსლია. გაუთავებელი ტრენინგების თუ სქემების შემუშავების მიუხედავად, ჩვენ გვყავს მასწავლებლები, რომელთა უმეტესობა ვერ აბარებს გამოცდას, უფრო სწორად ვერ ლახავს გამოცდით დაწესებულ ზღვარს. რა არის გამოსავალი?

– მასწავლებელი ყოველდღიურად უნდა ვითარდებოდეს სკოლაში. რა თქმა უნდა, ტრენინგები, გარე დახმარებები შესაძლებელია, მაგრამ ყველა კვლევა ადასტურებს, რომ, ამის ეფექტი მინიმალურია. მისი მთავარი პროფესიული განვითარება ხდება სკოლაში, ყოველდღიურად. ვინ უნდა გააკეთოს ეს? სკოლის დირექტორმა, რომელიც უნდა იყოს ყველაზე კვალიფიციური. შესაბამისად, ეს ყველაფერი უნდა გადავიტანოთ სკოლაში და სამინისტრომ კი არ უნდა გადაამზადოს 65 ათასი მასწავლებელი, არამედ ერთმა კარგმა დირექტორმა უნდა უზრუნველყოს თავისი სკოლის 20 მასწავლებლის პროფესიული განვითარება, იმ 20-მა მასწავლებელმა უნდა გადაამზადოს 40 მასწავლებელი – 60-მა მასწავლებელმა კი ერთად უნდა უზრუნველყოს სკოლაში ერთმანეთის პროფესიული განვითარება.

ჩემი აზრით, ერთ-ერთი სერიოზული პრობლემაა სახელფასო სისტემის მხოლოდ საათობრივ დატვირთვაზე მიბმა. სახელმწიფო მასწავლებელს, გაკვეთილის გარდა, კონკრეტულ მოთხოვნებს უყენებს, მაგრამ ამბობს, რომ ამის გაკეთებაში ფულს არ გადაუხდის. გამოდის, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მთელი სქემა ფარსია და მასწავლებლის ერთადერთი დანიშნულება მისი გაკვეთილზე შესვლა და გამოსვლაა. ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი არც ზრუნავს და არც მომავალში იზრუნებს საკუთარ განვითარებაზე, რადგან ის დამატებითი საქმიანობა, რასაც მისი განვითარება მოითხოვს და სკოლის საჭიროებიდან გამომდინარეობს, არ ფინანსდება.

– მინისტრი ამბობს, რომ მასწავლებლის გამოცდა შეურაცხმყოფელია, ამიტომ სხვა სახელი უნდა დაარქვან და დაწესებული ბარიერი გააუქმონ. სწორად მიგაჩნიათ გამოცდის ბარიერის მოხსნა?

– რას დავარქმევთ ეს მეორეხარისხოვანია. მთავარია, მასწავლებელს ჰქონდეს კვალიფიკაცია და თუ ვერ დააკმაყოფილებს სტანდარტებს, ის უნდა წავიდეს სკოლიდან. მინისტრს კი ასეთი მიდგომა აქვს: ის ამბობს, რომ ჩვენ მასწავლებლებს ისეთ რაღაცებს ვთხოვთ, რისი ცოდნაც უმაღლესს არ მიუცია. ეს მცდარი მოსაზრებაა, სახელმწიფომ მასწავლებელს უნდა მოსთხოვოს ყველა ის უნარი და საჭიროება, რომელიც 21-ე საუკუნის ეფექტურ მოქალაქეს აღზრდის. შეიძლება გამოცდა, როგორც მასწავლებლის შეფასების ინსტრუმენტი, სხვა ინსტრუმენტით ჩავანაცვლოთ, მაგრამ არასერიოზულია სახელი შევუცვალოთ მას და ხელოვნურად დავუგროვოთ კრედიტები, რომელიც სხვა საფეხურზე გადაიყვანს.

მასწავლებელი უნდა იყოს იმ უნარებისა და ცოდნის მატარებელი, რომელიც 21-ე საუკუნის მოთხოვნებს დააკმაყოფილებს და მის შესაბამის ადამიანს აღზრდის, სახელმწიფო კი ვალდებულია, შეამოწმოს და დაადასტუროს ჰყავს თუ არა ასეთი მასწავლებელი. მაგრამ მინისტრი სულ სხვა რამეს ამბობს, რომ ჩვენ გვყავს მასწავლებლები ისეთები, როგორიც გვყავს – გამოცდას ვერ აბარებენ, მაგრამ უნდა მოვუფიქროთ ისეთი რამ, რაც მათ კრედიტებს დაუგროვებს და შემდეგ საფეხურზე გადაიყვანს. აქ მიზანია არასწორი და აცდენილი უმთავრესს – მოსწავლის ნაცვალად, მიზანი ისეთი სისტემის შექმნაა, რომელიც მასწავლებელს, მიუხედავად დაბალი კვალიფიკაციისა, მისცემს შესაძლებლობას, დარჩეს სკოლაში და დაწინაურდეს კიდეც.

– „მაგარ შარში ვართ, ხალხო, ისეთი სასწავლო გეგმა გვაქვს, შეუძლებელია კარგად ასწავლო“ – ეთანხმებით თუ არა მინისტრს, რომ სკოლებში სწავლების დაბალ ხარისხს სწორედ ეს ცუდი სასწავლო გეგმა განაპირობებს?

– შეიძლება დავეთანხმო მინისტრს იმაში, რომ პროგრამები უნდა განვტვირთოთ და ოპტიმიზირებული გავხადოთ. ყურადღება მინდა გავამახვილო ინტეგრირებულ სწავლებაზე, რომელიც მთელ მსოფლიოში დადასტურდა, როგორც ყველაზე ეფექტური საშუალება მოსწავლეთა ცოდნის ხარისხის ამაღლების თვალსაზრისით, თუმცა ამ სისტემამ საქართველოში ვერ იმუშავა. არა იმიტომ, რომ ცუდია, არამედ იმ მიზეზით, რომ მასწავლებლები არ იყვნენ მზად ამისთვის. განათლება უნდა წავიდეს აკადემიური საგნების განტვირთვისკენ და არა კიდევ უფრო გადატვირთვისკენ. ეს შესაძლებლობას მოგვცემს, მოსწავლეები აღარ იყვნენ ზედმეტად გადატვირთული და სხვა უნარების განვითარებაც შეძლონ. ინტეგრირებულ სწავლებას მეორე პლუსიც აქვს – შედარებით ნაკლები მასწავლებლებით (რომელთა ხელფასების გადახდა და პროფესიული განვითარება სახელმწიფოს უფრო გაუადვილდება) შეიძლება წარიმართოს სკოლაში სწავლება. მათ შორის, უნდა მოხდეს დისტანციური სწავლების დანერგვაც, რომ აღარ გვყავდეს განწირული ბავშვები, რომლებიც სკოლიდან სკოლაში იმის გამო გადადიან, რომ ხარისხიან განათლებას ვერ იღებენ. შერეული ინსტრუმენტის შემუშავებაა საჭირო – ეროვნული სასწავლო გეგმები შეიძლება დავყოთ რამდენიმე მსხვილ ჯგუფად. მაგალითად, III-VI კლასებში „მე და საზოგადოება“ ცალკე საგნად კი არ უნდა დავამატოთ, არამედ ინტეგრირებულად ვასწავლოთ სხვა საგნებთან ერთად. მაგალითად, ტუალეტში რომ ჰიგიენის წესები უნდა დაიცვან, ამას „მე და საზოგადოება“ ვერ ასწავლის, იმიტომ რომ, პირველ რიგში, სკოლამ უნდა მოაწესრიგოს ტუალეტები და შექმნას ისეთი სასკოლო გარემო, სადაც ბავშვი ამას თავისთავად ისწავლის; ან თუნდაც სხვისი უფლებების დაცვა სკოლის სასადილოში რიგის დაცვით ვასწავლოთ, სადაც ბავშვები ერთმანეთს თავზე ახტებიან. ამით იმას კი არ ვამბობ, რომ „მე და საზოგადოება“ ცუდია, არამედ იმას, რომ მიდგომაა არასწორი. მაგრამ, პირველ რიგში, ინტეგრირებული გაკვეთილების დასანერგად, უმაღლესებმა უნდა მოამზადონ მასწავლებლები.

რაც შეხება, საგნების თემატიკის შემცირებას, რასაკვირველია, მნიშვნელოვანია, მაგრამ ამ პროცესში აუცილებლად პროფესიონალები უნდა იყვნენ ჩართულები. ვერაფრით დავეთანხმები მინისტრს იმაში, რომ უვარგისი ეროვნული სასწავლო გეგმა გვაქვს, დღეს თუ რამე გვაქვს გამართული, ეს ეროვნული სასწავლო გეგმებია, მაგრამ საკითხავია, როგორ აისახება ის სახელმძღვანელოებში.

ავტორები და გამომცემლობები სახელმძღვანელოების განვითარებაზე არ მუშაობენ, მაგალითად, 2011 წელს დაწერილ ბიოლოგიის სახელმძღვანელოში ერთ-ერთი აღწერა დისკრიმინაციული ხასიათის იყო. ამას მოჰყვა სახალხო დამცველის რეაგირება. 2015 წელს, როდესაც ავტორს ჰკითხეს, რატომ დაწერა ასე, მან უპასუხა, რომ არ ახსოვს რა დაწერა. ეს იმიტომ ხდება, რომ აღარც ავტორს და აღარც გამომცემელს თვალი არ უდევნებია, როგორ იმუშავა სახელმძღვანელომ სასწავლო პროცესში, რა საჭიროებები და ხარვეზები გამოიკვეთა. ამიტომ, როცა 2017 წლისთვის მას ისევ დაუკვეთავენ ახალი სახელმძღვანელოს დაწერას, დარწმუნებული ვარ, უკეთესს ვერ დაწერს, ან როგორ უნდა დაწეროს, სულ რაღაც ოთხ თვეში წიგნი, რომლის გადამუშავებაც კი არ გაკეთებულა. ეს იქნება ოდნავი ცვლილებებით „გადმოკატავებული“ (ან გადმოკოპირებული) ვერსია. თუ ასე გაგრძელდა, ასეთივე სახელმძღვანელოები გვექნება 2021-შიც, იმიტომ, რომ ყველაფერი ფარსია და ხუთ წელიწადში ერთხელ სახელმძღვანელოს იმიტომ ვცვლით, რომ ეს სადღაც გვიწერია, რომ უნდა შევცვალოთ და არა რეალური საჭიროებების და მოთხოვნების გათვალისწინებით. აქედან გამომდინარე, ახალი სახელმძღვანელოები, არც შინაარსობრივად და არც ხარისხობრივად, არ იქნება უკეთესი და, სამწუხაროდ, ვერც სასწავლო პროცესს გააუმჯობესებს. ბუნებრივია, ჩნდება კითხვა, მაშინ რატომ ვხარჯავთ ამდენ ფულს მის ბეჭდვაში ან მშობლებს რატომ ვახდევინებდით მის შესაძენად ამდენ ფულს. ამის მიზეზი ფორმალური მიდგომებია, რომელიც, ზოგადად, ყველაფერში გვახასიათებს. იმის ნაცვლად, რომ სახელმძღვანელოს ავტორს და გამომცემელს, იდეალური თუ არა, უკეთესი სახელმძღვანელოს შექმნა მოვთხოვოთ, ფორმალობით ვკმაყოფილდებით.

სასწავლო გეგმისა და სახელმძღვანელოს გაიგივება შეუძლებელია. კლასში, სადაც ოცი ერთმანეთისგან განსხვავებული მოსწავლე ზის, არ შეიძლება ყველას ერთი სახელმძღვანელო მოარგო ან ერთი რესურსით ერთნაირად ასწავლო. მიდგომაა არასწორი როგორც სამინისტროს, ისე მასწავლებლის მხრიდან, სასწავლო გეგმა კი არაფერ შუაშია. არ შეიძლება 2001 წელს და 2016 წელს ერთი და იმავე სტილითა და სახელმძღვანელოთი ასწავლო. მართალია, არსებული სახელმძღვანელოები ფიზიკურად ვერ ასახავს დღევანდელი სკოლის საჭიროებებს, მაგრამ იდეალური სახელმძღვანელოც კი ვერ მოერგება სასკოლო დინამიკას, თუ მასწავლებელი მოუმზადებელია. შეუძლებელია ერთ სახელმძღვანელოში გქონდეს დიფერენცირებული მიდგომები შინაარსობრივი თვალსაზრისით და ყველა მოსწავლეზე მორგებული აქტივობები. მასწავლებელი, რომელიც მხოლოდ ერთ ტექსტს ეფუძნება და ერთ წიგნზეა მიჯაჭვული, რა თქმა უნდა, კარგ შედეგს ვერ მიიღებს. არც ის მასწავლებელი ვარგა, ოციდან ორ ბავშვზე რომ იტყვის, ხომ კარგად გავზარდეო, ოცივე კარგი უნდა გაზარდოს.

– არსებული სქემის მიხედვით, რამდენიმე წელიწადში, მასწავლებელთა დიდ ნაწილს, თუ საგნობრივ კომპეტენციას ვერ დაადასტურებდა, სკოლა ავტომატურად შეუწყვეტდა ხელშეკრულებას. მოხდებოდა მასწავლებელთა მასობრივი გადინება, რაც, დიდი ალბათობით, მასწავლებელთა სერიოზულ დეფიციტს შექმნიდა სკოლებში. ქვეყანას ამ რაოდენობით ჩასანაცვლებელი პედაგოგიც არ ჰყავს. გამოდის, რომ მინისტრის ინიციატივამ – ბარიერის მოხსნამ – სისტემას ეს პრობლემა აარიდა.

– ყველაფერი იმ პრინციპებიდან გამომდინარე უნდა დაიგეგმოს, რომ ეს დეფიციტი კი არ შექმნა, არამედ შექმნა სისტემა, რომელიც მათ ჩანაცვლებას შეუწყობს ხელს. 60-კრედიტიანი პროგრამა იდეის დონეზე კარგია, ეს არის მოკლე გზა მასწავლებლის პროფესიაში შესასვლელად, მაგრამ ის აუცილებლად ხარისხიანი კადრების მომზადების გარანტია უნდა იყოს. სამწუხაროდ, ასე არ არის. პროგრამის აკრედიტაციაზე მოთხოვნა ვინც კი შეიტანა, ყველა დაკმაყოფილდა, თან აკრედიტაციის დებულება ორი კვირით ადრე დამტკიცდა. 13-მა უმაღლესმა სასწავლებელმა სასწრაფოდ შეყარა ნაჩქარევად გაკეთებული პროგრამები და კაცმა არ იცის, რა ხარისხისაა. მართალია, 60-კრედიტიანი პროგრამის კურსდამთავრებული მოკლე გზით შევა სკოლაში, მაგრამ, სამწუხაროდ, ისეთივე მოუმზადებელი და არაკვალიფიციური იქნება, როგორც მისი წინამორბედი. პროფესიაში შესვლის უფრო მოკლე და ეფექტური გზებიც არსებობს და ამ პროგრამების დამუშავება შეიძლება, თუკი ამის სურვილი და ნება იქნება.

ესაუბრა ლალი ჯელაძე

პედაგოგთა დასახმარებლად

წინასაანბანო პერიოდი – მეტყველების განვითარება

კითხვა-წერის სწავლების სამი პერიოდია: **წინასაანბანო, საანბანო, ანბანისშემდგომი.**

წინარე სტატიაში მიმოვიხილეთ კითხვა-წერის სწავლების მეთოდები. ვნახეთ, რომ ერთი საუკეთესო მეთოდი არ არსებობს და საჭიროა **დაბალანსება**. ეს კი შეუძლებელი იქნება ხანგრძლივი წინასაანბანო პერიოდის გარეშე. იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდიკის საუკეთესო მცოდნის, ვალერიან რამიშვილის პროგრამაში წინასაანბანო პერიოდი 2-თვიანი იყო. ესაა მინიმუმი. საუკეთესო კი ერთწლიანია (ნულ კლასი). და, თუკი ამის საშუალება არ გვაქვს, წინასაანბანო პერიოდი 3-4-თვიანი მაინც უნდა იყოს – ნებისმიერი მეთოდით სწავლებისას!

ერთთვიანი ან უფრო მოკლე წინასაანბანო პერიოდით შეუძლებელია კარგი შედეგების მიღწევა. მოჩქარეს მოუგვიანდება. მთავარი ის კი არაა, თუ მერამდენე ასო აქვს კლასს გავლილი, არამედ ის, თუ როგორ წაიკითხავენ უცნობ ტექსტს წლის ბოლოს.

წინასაანბანო – როგორც სახელწოდება გვიჩვენებს, ესაა ანბანის წინარე პერიოდი – ანუ ანბანი ჯერ არ დაწყებულა, ესე იგი, გამოცალკევებული ასოები არსად არ უნდა ჩანდეს (ანბანი კლასში არც უნდა ეკიდოს). მუშაობა ძირითადად ზეპირმეტყველებით მიმდინარეობს.

საანბანო – იწყება ასოების შესწავლა, ბგერასა და ასოს შორის შესატყვისობის შესწავლა (დეკოდირების უნარის გამომუშავება).

ანბანისშემდგომი – ყველა ასო უკვე შესწავლილია და მიმდინარეობს განმტკიცება, აგრეთვე ტექსტების წაკითხვა და გაგება-გააზრება.

ტრადიციულად, საანბანო და ანბანისშემდგომ პერიოდებს აქცევენ უფრო მეტ ყურადღებას, წინასაანბანო პერიოდი კი უმნიშვნელო ჰგონიათ. არადა, წინასაანბანო პერიოდი უმნიშვნელოვანესია.

მაინც რისთვის არის საჭირო ასეთი ხანგრძლივი წინასაანბანო პერიოდი, რა უნდა აკეთოს მასწავლებელმა 2-9 თვის განმავლობაში?

1. მეტყველების განვითარება.
2. სიტყვიერება (ლექსიკის გამდიდრება).
3. პრაქტიკული გრამატიკა: ტექსტის აგებულება, ამოცანები სიტყვათწარმოებაზე.
4. კითხვის შემზადება.
5. ფონოლოგიურ უნარ-ჩვევათა განვითარება.
6. მწერლობა, მხატვრული ნაწარმოებები.
7. საქართველოს ბუნებისმცოდნეობა, გეოგრაფია, ისტორია, ეთნოგრაფია.

„ოქროს წესები“, რომლებიც ყველა კლასში მოქმედებს:

- აქა-იქ, შემთხვევითად ჩატარებული აქტივობა რომც საუკეთესო იყოს, მოსწავლეებს კი გაახალისებს და სწავლით დაინტერესებს, მაგრამ **მისაღწევ შედეგებს თითქმის ვერ გაუმჯობესებს**. საამისოდ საჭიროა მიზანმიმართული, გეგმაზომიერი, სისტემატური მეცადინეობა, ყოველ ორ-სამ დღეში ერთხელ მაინც, **თანდათან გართულებად სავარჯიშოთა თანწყობით.**
- **აღსაკვეთია გუნდური პასუხები და წამოძახილები** (მათემატიკაშიც და სხვა საგნებშიც, ყველა კლასში). გუნდური პასუხი კლასის დიდი უმრავლესობისთვის ფუჭად დაკარგული დროა. სავარჯიშოთა ყოველი თანწყობა **თვითეულმა მოსწავლემ უნდა გაიაროს თავიდან ბოლომდე, ინდივიდუალურად**. მაგრამ თუკი კლასში 20-25 მოსწავლეა, ერთბაშად ეს შეუძლებელია, რადგან ერთი სავარჯიშოს მრავალჯერ კეთება კლასისთვის ძალიან მოსაბეზრებელი იქნება. ამიტომ თითო გაკვეთილზე თითო სავარჯიშო რამდენიმე მოსწავლეს უნდა შევასრულებინოთ, მომდევნო გაკვეთილზე – სხვა რამდენიმეს და ასე შემდეგ; მერე გადავალთ მომდევნო, უფრო გართულებულ სავარჯიშოზე და ასე შემდეგ. მასწავლებელს ეს ყოველივე აღრიცხული უნდა ჰქონდეს, სხვანაირად ამდენ წვრილმანს ვერ დაიმახსოვრებს (მით უმეტეს – რამდენიმე კლასში ანდა რამდენიმე საგანში).
- აქედან გამომდინარე – **რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო მოკლე-მოკლე მონაკვეთებად უნდა იყოს დანაწილებული გაკვეთილი; თითოეულ გაკვეთილზე მრავალფეროვანი აქტივობები უნდა ტარდებოდეს, მაგრამ თითოეული მათგანი ხანმოკლე უნდა იყოს; მისი გაგრძელება მომდევნო გაკვეთილებზე იქნება.** ამიტომ სასწავლო პროგრამის სქემა ერთმანეთში ჩაწნულ მრავალ ხაზს უნდა ჰგავდეს, რომლებიც პარალელურად ვითარდება, თანდათანობით, ნელ-ნელა.

1. მეტყველების განვითარება

ეს თემა უმთავრესია როგორც წინასაანბანო, ისე შემდგომ პერიოდებშიც. ტრადიციული მეთოდიკა არ ითვალისწინებს ბავშვის ფსიქოლოგიის კანონზომიერებებს, ეყრდნობა მცდარ წანამძღვრებს და შედეგიც შესაბამისია: საშუალო სკოლადამთავრებულმა არ იცის მშობლიური ენის მდიდარი ლექსიკა, არ იცის ზოგადი საერთაშორისო ტერმინები, გამართულად ვერ მეტყველებს და ვერ წერს, ვერ აყალიბებს წინადადებებს, დიდი ტექსტის წაკითხვაც კი უჭირს, არათუ მისი გააზრება.

ყოველივე ამას სწორედ დაწყებით კლასებში ეყრება საფუძველი. ამიტომ I-II კლასებში ზეპირმეტყველება და ლექსიკაზე მუშაობა წამყვანი უნდა იყოს; ზეპირმეტყველების წამყვანი მნიშვნელობა ყველა კლასში უნდა შენარჩუნდეს!

კლასიკურმა პედაგოგიკამ აღიარა:

სადაც არაა თვალსაჩინოება – იქ უაზრო ზეპირობა და სქოლასტიკაა!

ჩვენ ვუმატებთ: **სადაც არაა ზეპირმეტყველება – იქ უაზრო ზეპირობა და სქოლასტიკაა!**

ამასთან, კიდევ ერთხელ გამოვკვეთთ: ნამდვილი ზეპირმეტყველება – ესაა

საკუთარ გონებაში დაბადებული გავრცობილი წინადადების სრულად ჩამოყალიბება,

და არა წინადადების ნაწყვეტებისა თუ სიტყვების თქმა; და არა გაზეპირებულ-დამახსოვრებულის გახსენება და გამეორება.

წინასაანბანო პერიოდში მეტყველების განსავითარებელი სავარჯიშოები:

1.1. მასწავლებლის მიერ წაკითხული ტექსტის შინაარსობრივი, ლექსიკური და თემატიკური დამუშავება – შეკითხვებზე პასუხების მეშვეობით *(ტექსტზე მუშაობის მეთოდიკას ცალკე სტატია დაეთმობა);*

1.2. მოცემული სიტყვის შემცველი წინადადების შედგენა, ან არეულად მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადადების შედგენა;

1.3. გავრცობილი წინადადების ჩამოყალიბება: სურათის აღწერა ანდა თხრობა (ზღაპრის ნაწყვეტისა, გუშინდელი ამბისა და სხვა);

1.4. ზღაპრის (ლექსის) შესწავლა და როლური გათამაშება;

1.5. ენის გასატეხების წარმოთქმა.

<u>1.1.</u> ტექსტზე მუშაობის მეთოდიკას ცალკე სტატია დაეთმობა.

<u>1.2. **მოცემული სიტყვის შემცველი წინადადების შედგენა;**</u>
<u>**არეულად მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადადების შედგენა**</u>

მასწავლებელი ავალებს მოსწავლეებს, რომ შეადგინონ წინადადება ამა თუ იმ სიტყვის ან სიტყვების გამოყენებით – შეარჩევს ნასწავლ ნაკლებადცნობილ სიტყვებს, ანუ იმ ნაკლებადცნობილ სიტყვებს, რომლებიც შეგვხვდა ნასწავლ ტექსტში. ეს სიტყვები მოსწავლეს მიეწოდება ან ზეპირად, ან სურათების სახით. ყურადღება უნდა მიექცეს, რამდენად გამართულად წარმოთქვამს მოსწავლე წინადადებას, რამდენად იყენებს ახალ, ნაკლებადცნობილ სიტყვებს. მოსწავლე უნდა მიეჩვიოს შინაარსის ლოგიკურად და აზრის გამართულად გადმოცემას. მოსწავლემ მოქმედებაც უნდა გაასიტყვოს. სურათის აღწერისა თუ საკუთარი თავგადასავლის მოყოლისას არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ არსებითი სახელებით. მასწავლებელმა ბავშვი სრული წინადადებების წარმოთქმას უნდა მიაჩვიოს. წინადადების სწორად და გამართულად წარმოთქმას ყურადღება სისტემატურად უნდა მიექცეს არა მარტო გაკვეთილზე, არამედ ყოველთვის – დასვენებაზე, ექსკურსიაზე და ასე შემდეგ.

ცხადია, თავიდან შედგენილ წინადადებათა უმრავლესობა მარტივი გაუვრცობელი ანდა ხარვეზოვანი იქნება. მასწავლებელი შეკითხვა-მითითებათა მეშვეობით ავსებინებს და ახვევინებს წინადადებებს („სასწავლო ხარაჩოები“), წაახალისებს იმ მოსწავლეებს, რომლებიც უფრო საინტერესო, უფრო ლამაზ წინადადებებს შეადგენენ. ამ საშუალებით წინადადებები სულ უფრო და უფრო უმჯობესდება და I კლასის ბოლოს უკვე საკვირველად ვრცელი, გამართული და ლამაზი ხდება.

ერთი საგაკვეთილო მონაკვეთის განმავლობაში შეიძლება 3-7 ნაკლებადცნობილ სიტყვაზე წინადადებების შედგენა. თითო სიტყვაზე წინადადებას ადგენს რამდენიმე მოსწავლე, ოღონდ აკრძალულია სხვისი წინადადების გამეორება ან გადაკეთება – ყველამ ახალი წინადადება უნდა მოიგონოს. ცუდად წარმოთქმულ ფრაზას ან სიტყვას მინიშნებებით ასწორებინებს მასწავლებელი, ან ასწორებს სხვა მოსწავლე. მართებულ პასუხს სრულად იმეორებს ის მოსწავლე, რომელსაც შეეშალა. სიტყვის გრამატიკული ფორმის შეცვლა ნებისმიერად შეიძლება. მაგალითად, მიცემულია სიტყვა **სიამოვნება**. შედგენილ წინადადებაში შეიძლება იყოს სიტყვა: **ისიამოვნა, მასიამოვნებს, ვისიამოვნეთ, სასიამოვნო, სიამოვნებით, სიამე, უსიამოვნო...** (სულერთია). ეს მასწავლებელმა რამდენჯერმე უნდა ახსნას. თუკი მოსწავლეს შეეშლება და დაასახელებს, მაგალითად, სიტყვას **უსინდისო**, მასწავლებელი ამ სიტყვას არ ჩაუთვლის, მაგრამ არც შეცდომად ჩათვლის და სხვა სიტყვას დაასახელებინებს. ასევე უნდა მოხდეს წვრილმანი შეცდომების დროსაც (მაგალითად, სიტყვისთვის ბგერის დაკლება და სხვა).

ყოველივე ამით მოსწავლეები **სიტყვის მორფოლოგიური ფორმის ცვლასაც** სწავლობენ!

ამგვარი სავარჯიშოები შეიძლება შეჯიბრების, ანდა წყვილებში ან ჯგუფებში მუშაობის ფორმითაც ჩავატაროთ.

1.3. სურათის აღწერა

I საფეხური – აღწერა შეკითხვებით

მასწავლებელი დაფაზე დაკიდებს მარტივ სურათს, რომელზეც ორი-სამი მოქმედება ხდება. მოსწავლეები პასუხობენ მასწავლებლის მიერ დასმულ შეკითხვებს სურათზე გამოსახული შინაარსის (კონკრეტული სიუჟეტის) შესახებ. მასწავლებელი ცდილობს, რომ მოსწავლეებმა ჩამოაყალიბონ გავრცობილი წინადადებები: მრავალფეროვანი ზმნებით, ზედსართავებით, ზმნიზედებით და სხვა (ცხადია, ამ ტერმინების ხსენების გარეშე). შემდეგ ერთ-ერთი მოსწავლე მოჰყვება სურათის შინაარსს, სხვები დაეხმარებიან.

II საფეხური – აღწერა შეკითხვების გარეშე

სურათი იგივეა. ამჯერად მას უშუალოდ მოსწავლეები აღწერენ, დამხმარე შეკითხვების გარეშე. თუმცა, თუკი გაუჭირდებათ, მასწავლებელი რამდენიმე შეკითხვას შეაშველებს. გარდა ამისა, მასწავლებელი შეკითხვებით ჩაერევა წინადადების დახვეწისა და გამდიდრების მიზნით.

III საფეხური – შინაარსის გახსენება

მასწავლებელი აღწერილ სურათს მხოლოდ ხანმოკლე დროით გამოაჩენს. შემდეგ მოსწავლეები სურათის გარეშე იხსენებენ და ჰყვებიან ამ სურათის შინაარსს. სასურველია, მოსწავლეებმა შეავსონ ერთმანეთის მონაყოლი. უნდა წარმოთქვან სრული წინადადებები; გამოიყენონ უკვე ნასწავლი ნაკლებადცნობილი სიტყვები და გამოთქმები.

IV საფეხური – სურათი რთულდება... და ა.შ.

სურათის აღწერის ნიმუში

სოკოს კრეფა

მთის ფერდობზე ტყე შეფენილა. იქაურობას ბავშვები მოსდებიან. ისინი კრეფენ სოკოს, ყვავილებს. ზოგი თაიგულს აკეთებს, ზოგი კი – გვირგვინს. ბიჭები კალათებს დაატარებენ და სოკოებს არჩევენ. იქვე, ახლოს, პატარა, ენაგადმოგდებული ცუგა დახტის – თითქოს ბავშვებს ეხმარებაო. აგერ ბიჭუნას ქუდი დაუკოსებია და ყვავილებით ხელში გამორბის. მეორეს კი ჩიტი შემოსჯდომია მხარზე და ვერც ამჩნევს. შორს ღრუბლიანი ცა მოჩანს. ხეებს ფოთლები გაჰყვითლებია. ხის ქვეშ მასწავლებელი ისვენებს და თან ჟურნალს ათვალიერებს.

შეკითხვები: – წელიწადის რომელი დროა? საიდან მიხვდით? როგორი ამინდია? ტყე სადაა გაზრდილი? ვის ხედავთ სურათზე? რამდენნი არიან ისინი? რას აკეთებს თითოეული მათგანი? (შეგიძლიათ, ყველა ბავშვს დაარქვათ სახელი). რისთვის სჭირდებათ ბავშვებს კალათა? რა არის კალათა? სად შეგვხვდა? გავიხსენოთ, რა ეწყო იმ კალათაში! აქ რას ჩააწყობენ ბავშვები? როგორ აკეთებენ კალათას? კიდევ რა იწვნება? რა დახტის მინდორზე? გიორგის რა დაუკოსებია? როგორი ქუდი ახურავს? ამ ბავშვს მხარზე რა აზის? როგორი ცა მოჩანს? რას აკეთებს მასწავლებელი? როგორ გგონიათ, რისთვის გავიდნენ ბავშვები ტყეში?

გავრცობილი წინადადების ჩამოყალიბება სურათის აღწერისას

ვთქვათ, სურათის აღწერისას მოსწავლემ წინადადებები ასე ჩამოაყალიბა:

ქათმები საჭმელს ჭამს. *კაცი ხარს ურტყავს ჯოხს.*

– რა შეეშალა ბაქარს? როგორ უნდა ეთქვა? ქათმები ჭამს – ვარგა ასე? {ქათმები ჭამენ}.

მეორე შეცდომა ორთოგრაფიულია: ურტყავს. **ამას ალბათ ვერც ერთი მოსწავლე ვერ შეასწორებს, ამიტომ შეკითხვის დასმას აზრი არა აქვს, მასწავლებელი თვითონ შეუსწორებს:** ურტყამს **– მ** ***ბგერის გამოკვეთით.*** **ბაქარმაც უნდა გაიმეოროს მართებული ფორმა!**

შემდეგ საჭიროა წინადადების გამდიდრება, ესეც დამატებითი შეკითხვების, სასწავლო ხარაჩოების მეშვეობით ხდება:

> ეს ქათმები მაინც რას ჭამენ? დააკვირდით! {მარცვლებს, საკენკს, სიმინდს, ხორბალს, ქერს} როგორ ჯობია ვთქვათ – ქათამი ქერს ჭამს თუ ქათამი ქერს... რას შვრება? {კენკავს} მაშ, მთელი წინადადება როგორ უნდა გვეთქვა? გვანცა, აბა, ჩამოაყალიბე! {ქათმები ქერს კენკავენ} ბაქარ, გაიმეორე! {ქათმები ქერს კენკავენ} როგორი ქათმები? {ჭრელ-ჭრელი} სრული პასუხი! {ჭრელ-ჭრელი ქათმები ქერს კენკავენ} სად კენკავენ? სად ყრია ქერის მარცვლები? {ბალახში} შეავსე წინადადება ამ სიტყვით! {ჭრელ-ჭრელი ქათმები ბალახში ქერს კენკავენ} კარგია! როგორია ბალახი? {მწვანე} დიახ, მწვანე, ძალიან კარგი მწვანეა, ხასხასა ბალახია. ხასხასა! აბა, სრულად ვინ ჩამოაყალიბებს წინადადებას? {ჭრელ-ჭრელი ქათმები ხასხასა ბალახში ქერს კენკავენ} აი, ეს ძალიან კარგი წინადადებაა! ნინო, გაიმეორე!

პედაგოგთა დასახმარებლად

– ახლა მეორე წინადადება, ხარზე. ბაქარ, შენ როგორ თქვი? {კაცი ხარს ურტყამს ჯოხს} ეს კაცი ვინ არის? მუშაა? {არა} გამყიდველია? {არა} პოლიციელია? {არა} მაშ, ვინაა? შეხედეთ, სად ზის! {გლეხია, მეურმეა} სად ზის? {ურემზე} სრულად! {მეურმე ურემზე ზის} და ხარს... რას ურტყამს? {ჯოხს} მაგრამ ჯოხის დარტყმა ხომ მტკივნეულია! ჯოხი ხომ მაგარია! მეურმეს განა მსხვილი მაგარი ჯოხი უკავია? {არა, წვრილი და რბილი} დიახ, ვინმემ თუ იცის, რა ჰქვია ასეთ ჯოხს? არავინ? მაშ მე გეტყვით პირველ ბგერას და თქვენ გამოიცანით: წ... წკ... წკე... {წკეპლა!} დიახ, წკეპლა. ახლა ლუკამ ჩამოაყალიბოს სრული წინადადება {მეურმე ურემზე ზის და ღონიერ ხარს წკეპლას ურტყამს} ყოჩაღ, ლუკამ კიდევ ერთი სიტყვა თვითონ ჩასვა, თვითონ მოიგონა! აბა, თათამ გვითხრას, რომელი ახალი სიტყვა ჩასვა ლუკამ! {ღონიერი} დიახ, ხარი ღონიერია. ყოჩაღ, ლუკა, ძალიან კარგი იყო! ანა, რისთვის ურტყამს მეურმე ხარს წკეპლას? {მეურმე ხარზე გაბრაზებულია}.

მოსწავლეს შეეშალა, მაგრამ ჩვენ ყველას გვაქვს შეცდომის უფლება! მასწავლებელს ოდნავი უკმაყოფილებაც კი არ უნდა შეეტყოს! გამოვიყენოთ სასწავლო ხარაჩოები!

– დააკვირდით მეურმეს პირისახეზე, ვინც ვერ ხედავს, ახლოს მოვიდეს და დააკვირდეს! განა ეტყობა მეურმეს ბრაზი? {არა, იცინის} მაშ, რისთვის ურტყამს მეურმე ხარს წკეპლას? {ხარი რომ წავიდეს} დიახ, წკეპლის დარტყმა ხარს არ სტკივა, ამით მეურმე მას ანიშნებს, რა უნდა ქნას. ახლა ანიშნებს, დაიძარიო. ესეც დავუმატოთ ჩვენს წინადადებას: ამით მეურმე ხარს ანიშნებს, ... {დაიძარიო} ანა, გაიმეორე! {ამით მეურმე ღონიერ ხარს ანიშნებს, დაიძარიო} ღონიერი? მაგრამ ეს ერთხელ ხომ უკვე ვთქვით, გამეორება აღარ გვინდა. თანაც, შენ გამოგრჩა სიტყვა „ამით“: ამით მეურმე ... {ამით მეურმე ხარს ანიშნებს, დაიძარიო} კარგია, ახლა ბაქარმა გაიმეოროს სრულად: მეურმე ურემზე... {მეურმე ურემზე ზის და ღონიერ ხარს წკეპლას ურტყამს. ამით მეურმე ხარს ანიშნებს, დაიძარიო}. მაშ, მთლიანად ასეა: ჭრელ-ჭრელი ქათმები ხასხასა ბალახში ქერს კენკავენ. მეურმე ურემზე ზის და ღონიერ ხარს წკეპლას ურტყამს. ამით მეურმე ხარს ანიშნებს, დაიძარიო. ვინმე თუ შეძლებს გამეორებას?

მაშასადამე, ამგვარ ვითარებაში მასწავლებელი შეკითხვებს პასუხის მისაღებად კი არ სვამს, არამედ იმისათვის, რათა მოსწავლის წინადადება დახვეწოს და გაამდიდროს. ხოლო შეკითხვაზე პასუხის ფორმით ჩამოყალიბებული წინადადება არ ივარგებს. მაგალითად: – სად კენკავენ ქათმები ქერს, სად ყრია ქერის მარცვლები? – ქათმები ქერს ბალახში კენკავენ; ქერის მარცვლები ბალახში ყრია.

ეს სრული პასუხი კი არის, მაგრამ არ ვარგა, რადგან შეკითხვაზე პასუხის ფორმითაა ჩამოყალიბებული. მასწავლებელი მოითხოვს: – შეავსე შენი წინადადება ამ სიტყვით! {ქათმები ბალახში ქერს კენკავენ}. – აი ეს კარგია!

ამ მაგალითით თვალსაჩინოდ გამოჩნდა, რომ გაკვეთილებზე საჭიროა:

- **ძალიან ბევრი მუშაობა, მეცადინეობა, „შავი შრომა“ (და არა საჩვენებელი ჯგუფური შოუ) – რის გარეშეც ამქვეყნად ვერაფერი ღირსეული ვერ შექმნილა და ვერც შეიქმნება:** სწავლის ძირი მწარე არის...
- **ბოლომდე აქტიური, დიალოგური და ძიებითი სწავლება;**
- **მისწრაფება სრულყოფისაკენ, მდიდარი და ლამაზი ქართული ენისაკენ**
- **მასწავლებლის შემოქმედებითი მუშაობა, ოღონდ არა ზერელე და მოუმზადებელი „ინოვაციები“, არამედ პროფესიონალიზმი (განხილულ მაგალითში მასწავლებელს არ უნდა გამოეპაროს მცდარი ფორმა** ურტყავს; **უნდა მოაგონდეს სიტყვები** კენკავს, ხასხასა, წკეპლა..., **უნდა დაამატებინოს მეურმის მიზანი და სხვა); საჭიროა აგრეთვე მოუმზადებელ ვითარებაში საუკეთესო საშუალებათა სწრაფად მიგნების უნარი; სათანადო სასწავლო ხარაჩოები.**

მართლაც, შეუძლებელია წინასწარ დაიგეგმოს ის, თუ მოსწავლე როგორ წინადადებას ჩამოაყალიბებს (ზეპირი საუბრისას, ანდა საშინაო თუ საკონტროლო ნაწერში). შემოქმედებითი მიდგომა კი სწორედ არასტანდარტულ ვითარებაში ვლინდება, თანაც, როცა ძალიან სწრაფად მოქმედებაა საჭირო, მასწავლებელმა სწრაფად უნდა შექმნას სათანადო სასწავლო ხარაჩოები; გაკვეთილის რიტმის მოდუნება ძალიან ცუდია, ამიტომ მასწავლებელმა ხარაჩო უნდა შეაგებოს მაშინვე, როგორც კი მოსწავლე სათქმელს ამთავრებს, ესე იგი, ამ ხარაჩოს უნდა მიაგნოს მანამ, სანამ მოსწავლე თავის ხანმოკლე სათქმელს ამბობს.

გამოთქმით, მდიდარი სიტყვიერებითა და გამართულად მეტყველების ჩვევის გამოსამუშავებლად ყველაზე ქმედითი საშუალება დაწყებით კლასებში – ესაა მასწავლებლის პირადი მაგალითი. მაგრამ – მეტყველებს კი ასე მასწავლებელი? თუ მხოლოდ „პრობლემა არაა“, „არაკომფორტული სიტუაცია“, „გახანგძლივებას ახდენს“**-ის მსგავს ფრაზებს არახუნებს?**

შეჯამება

კითხვა-წერის სწავლების სამი პერიოდი: **წინასაანბანო, საანბანო** და **ანბანისშემდგომი.**

ერთთვიანი ან უფრო მოკლე წინასაანბანო პერიოდით შეუძლებელია კარგი შედეგების მიღწევა. მოჩქარეს მოუგვიანდება. მთავარი ის კი არაა, თუ მერამდენე ასო აქვს კლასს გავლილი, არამედ ის, თუ როგორ წაიკითხავენ უცნობ ტექსტს წლის ბოლოს.

წინასაანბანო პერიოდის პირველი მიმართულებაა: 1. მეტყველების განვითარება.

სავარჯიშოთა სახეები მეტყველების განსავითარებლად:

1.1. მასწავლებლის მიერ წაკითხული ტექსტის შინაარსობრივი, ლექსიკური და თემატიკური დამუშავება – შეკითხვებზე პასუხების მეშვეობით *(ტექსტზე მუშაობის მეთოდიკას ცალკე სტატია დაეთმობა);*

1.2. მოცემული სიტყვის შემცველი წინადადების შედგენა, ან არეულად მოცემული სიტყვების გამოყენებით წინადადების შედგენა (სიტყვები კლასს მიეწოდება ზეპირად ან სურათებით);

1.3. გავრცობილი წინადადების ჩამოყალიბება: სურათის აღწერა ანდა თხრობა (ზღაპრის ნაწყვეტისა, გუშინდელი ამბისა და სხვა);

1.4. ზღაპრის (ლექსის) შესწავლა და როლური გათამაშება;

1.5. ენის გასატეხების წარმოთქმა.

სურათის აღწერის საფეხურები: 1. აღწერა შეკითხვებით;
2. აღწერა შეკითხვების გარეშე, სასწავლო ხარაჩოებით;
3. შინაარსის გახსენება.

ამოცანები

1. სტატიაში მოძებნეთ დიალოგური აქტივობის აღწერა, ჩარჩოში ჩასმული. შემდეგთაგან რომელია ამ აქტივობის მისაღწევი შედეგი?

ა) გავრცობილი წინადადების ჩამოყალიბების უნარის განვითარება.

ბ) გავრცობილი წინადადების ცნების სწავლების შემზადება.

გ) გავრცობილი წინადადების ცნების სიღრმისეული გააზრება.

დ) გავრცობილი წინადადების ცნების ცოდნის განმტკიცება.

ე) შეკითხვის ზუსტად დასმის უნარის განვითარება.

ვ) კითხვითი წინადადების ცნების სწავლების შემზადება.

2. შემდეგთაგან აარჩიეთ ის წინადადება, რომელიც, იმავე აქტივობის მსგავსად, ასევე: ჩამოყალიბებულია სურათის აღწერისას, გავრცობილი კი არის, მაგრამ ჩვეულებრივ დამოუკიდებელ წინადადებად <u>მაინც არ ვარგა</u>, რადგან შეკითხვაზე პასუხის ფორმითაა ჩამოყალიბებული, ანუ შეკითხვაზეა დამოკიდებული (ამიტომ მასწავლებელმა ეს წინადადება მოსწავლეს უნდა დაახვეწინოს):

ა) ქუჩაზე გადასვლა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა შუქნიშანი ჩვენს მხარეს მწვანედ აინთება.

ბ) რატომ იცინის ყმაწვილი, სასაცილოს რას ხედავს?

გ) როგორ მესერთან დგას ძელსკამი?

დ) მამას მარნიდან ღვინის დიდი კოკა გამოაქვს, ძლივს გამოაქვს, ხვნეშის.

ე) გაზაფხულს ხუჭუჭა და პაჭუაცხვირა ბიჭი შეეხარის.

ვ) ტოროლა გალობს.

3. კითხვის სირთულეების პრევენციისათვის მნიშვნელოვანია სკოლამდელ ასაკში ბავშვის იმ უნართა განვითარებაზე ზრუნვა, რომლებიც კითხვისათვის მზაობას განაპირობებს. შემდეგთაგან რომელი უნარის განვითარებაა ადეკვატური და მიზანშეწონილი სკოლამდელ ასაკში?

ა) ბგერების სწორად გამოთქმა, ასოების გამოწერა და სიტყვების უშეცდომოდ ჩაწერა.

ბ) ასო-ბგერით მიმართებათა დასწავლა და ასოებისგან სიტყვების აწყობა.

გ) სიტყვის ბგერითი შემადგენლობის გარჩევა და ლექსიკური მარაგის გამდიდრება.

დ) ასოებისგან სიტყვების და სიტყვებისგან მარტივი წინადადებების აწყობა.

4. მასწავლებელი I კლასის მოსწავლეს სთავაზობს ბარათებს და ეუბნება: „მაჩვენე სიტყვა, რომელიც ზუსტად ისეთია, როგორიც – ჩარჩოში ჩასმული!“

კარი	თავი ბარი კარი კანი

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი უნარის განვითარებაა აუცილებელი იმისათვის, რათა მოსწავლემ ამ დავალების წარმატებით შესრულება შეძლოს?

ა) ასოსა და ბგერას შორის კავშირის აღქმა და გაცნობიერება.

ბ) მსგავსად მჟღერი ბგერების ერთმანეთისგან გარჩევა.

გ) მსგავსი ვიზუალური სიმბოლოების ერთმანეთისგან გარჩევა.

დ) ბარათებზე მოცემული სიტყვების ამოკითხვა.

5. მასწავლებელი ხშირად უკითხავს მოსწავლეებს მცირე ზომის ტექსტებს ნაცნობ თემებზე. შემდეგთაგან <u>ყველაზე ნაკლებად</u> რომელი გამოადგება მასწავლებელს იმის შესაფასებლად, რომ მოსწავლეებმა მოისმინეს და გაიაზრეს წაკითხული ტექსტი?

მოსწავლეები:

ა) სვამენ და პასუხობენ შეკითხვებს მოსმენილ ტექსტთან დაკავშირებით.

ბ) ილუსტრაციებს უკავშირებენ მოსმენილ ტექსტს და განალაგებენ მათ მოქმედებათა თანმიმდევრობის მიხედვით.

გ) ახასიათებენ პერსონაჟს, აფასებენ მის საქციელს, ამოიცნობენ მის ემოციურ მდგომარეობას.

დ) აფერადებენ პერსონაჟის გამოსახულებას ტექსტის მიხედვით შექმნილ ილუსტრაციაზე და გამოხატავენ მის მიმართ დამოკიდებულებას.

6. სკოლამდელისა და დაწყებითი კლასის მოსწავლის აზროვნება ხატობრივია. შემდეგ აზროვნება ცნებითი უნდა გახდეს. ამიტომ აზროვნების განსავითარებელი საუკეთესო საშუალებაა ბავშვის მიერ მოსმენილი სიტყვის გადაყვანა წარმოდგენილ სურათში ან პირიქით. შემდეგთაგან რომელი <u>არ</u> განეკუთვნება ამგვარ სასწავლო ქმედებებს?

ა) სურათების თვალიერება და დანახული საგნების დასახელება, ან მოქმედების აღწერა ბუტბუტით.

ბ) ბუნებაში ნაპოვნი საგნის სახელწოდების წამოძახება.

გ) ნანახი ფილმის (მულტფილმის) მოქმედ პირთა სურათების გამორჩევა სურათების გროვიდან.

დ) საკუთარი მოქმედების ეგოცენტრული გასიტყვება.

ე) სხვის მიერ მოყოლილი ზღაპრის მოსმენა ინტერესით.

7. წინარე ამოცანის ასარჩევი პასუხებიდან რომელი შეესაბამება მოსმენილი სიტყვის გადაყვანას წარმოდგენილ სურათში (და არა პირიქით)?

8. ნინი I კლასშია და უჭირს ამბის გაბმულად გადმოცემა, საჭირო სიტყვების მოძებნა თხრობისას. მისი **ზეპირმეტყველების უნარის** განვითარება მასწავლებელმა გადაწყვიტა სიუჟეტური სურათების გამოყენებით. ქვემოთ მოცემულია შესაბამისი აქტივობები:

I. მასწავლებელი სთხოვს ნინის, იპოვოს სურათზე მის მიერ დასახელებული საგნები: „მაჩვენე გოგონას ჩანთა.“

II. მასწავლებელი აღწერს სურათს და თან თითით მიანიშნებს: „შეხედე, აქ გოგონა სკოლაში მიდის.“

III. მასწავლებელი ეკითხება ნინის: „რას აკეთებს გოგონა კლასში?“

IV. მასწავლებელი ეკითხება ნინის: „მაჩვენე სურათზე ბიჭი, რომელიც წერს.“

ეს აქტივობები დაალაგეთ თანმიმდევრობით, ადვილიდან ძნელისკენ:

ა) IV, II, I, III; ბ) I, II, III, IV; გ) II, III, I, IV; დ) I, III, II, IV;
ე) I, II, IV, III; ვ) II, I, IV, III; ზ) II, IV, I, III; თ) II, IV, III, I.

9. ზოგი მეცნიერის აზრით, I წლის ბოლოს კითხვის სწავლაში წარმატების წინასწარმეტყველება შესაძლებელია სიტყვაში ბგერებისა და მარცვლების გაერთიანების უნარის მიხედვით. კითხვის სწავლების რომელი მიდგომის სასარგებლოდ მეტყველებს ეს?

ა) აღმავალი მოდელისა, რომლის მიხედვითაც ინფორმაციის გარდაქმნა მიმდინარეობს ქვემოდან ზემოთ, ნაწილიდან, მარტივიდან (ასო-ბგერიდან) მთელისკენ, რთულისკენ (სიტყვისკენ, ტექსტისკენ).

ბ) აღმავალი მოდელისა, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება კონტექსტზე დაყრდნობით სიტყვის გამოცნობის სტრატეგიით უნდა განხორციელდეს.

გ) დაღმავალი მოდელისა, რომლის მიხედვითაც სიტყვის და მასში შემავალი ბგერების ცნობა სიტყვის მნიშვნელობის საფუძველზე უნდა მოხდეს.

დ) დაღმავალი მოდელისა, რომლის მიხედვითაც კითხვის სწავლება ასოებსა და მათ ბგერით შესატყვისებს შორის კავშირის დამყარების ჩვევის გამომუშავებაა.

ამოცანების პასუხები	1	2	3	4	5	6	7	8	9
	ა	ე	გ	გ	დ	გ	ე	ვ	ა

თამარ მახარაძე, ზურაბ ვახანია

პროფესია – მასწავლებელი

ყველაფერი სარკის წინ დაიწყო...

გაუთავებლად ვატარებდი სარკის წინ გაკვეთილებს...

ვხედავდი ჩემ თავს, ვაკვირდებოდი ვერბალურ თუ არავერბალურ მახასიათებლებს, ვბაძავდი ჩემს მასწავლებლებს, ვემსგავსებოდი მათ.

ფოთოლა მასწავლებელი, რომელსაც წინა კბილი წინ წამოწეული ჰქონდა, გეოგრაფიას გვასწავლიდა, მეც, „გეოგრაფიის“ გაკვეთილის ჩატარებისას „საღეჭ რეზინს“ ვიმაგრებდი წინა კბილზე რომ მასავით მესაუბრა...

ლალი მასწავლებელივით ქუსლიან ფეხსაცმელს ვიცვამდი...

და კიდევ მრავალი...

სხვანაირად არც შეიძლებოდა...

დღეს მეც მასწავლებელი ვარ...

ჩემს ოცნებას მაშველი გამოუჩნდა, ეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროექტი „ისწავლე და ასწავლე საქართველოსათვის“ იყო, მახსოვს ყოველი

წუთი – ტესტირებაზე ნერვიულობა, გასაუბრება, გასაუბრებაზე გულახდილი პასუხი:

– გამოცდილება გაქვთ?

– დიახ, სარკის წინ...

ვთქვი რომ წავალ სვანეთში, არგუმენტის გარეშე.

გრძელი გზა, ახლობლების ცრემლი (თითქოს საზღვარგარეთ მივდიოდი), 15-მა ოჯახის ახლო ნათესავმა სვანეთში ჩამაცილა... მათ შორის იყო საქმროც (სვანეთში დანიშნული წავედი).

სკოლის დირექტორთან შეხვედრა...

– თქვენ შორის რომელია მასწავლებელი, ეს „ბავშვი“?

სვანური სტუმარ-მასპინძლობა...

აცრემლებული დედა და საქმრო....

აზიდულ მთებს შუა დავრჩი მარტო...

მიზნისკენ.....

ცრემლებს ვიკავებ...

სვანეთში ტირილი არ ჩვევიათ...

დაუვიწყარია მასწავლებლობის პირველი ნაბიჯები ჩემს ცხოვრებაში

დაუვიწყარია სვანეთი...

ულამაზესია სვანეთი...

ნამდვილი სამოთხეა სვანეთი....

სვანეთი ჩემი სულისა და ხორცის ნაწილი გახდა. „ვენერა ბებო“, მან შვილივით მიმიღო თავის ოჯახში (მე-8 შვილად), ყველა სვანი საოცარი ხასიათით, ინდივიდუალობით, გულახდილობით გამოირჩევა.

არასოდეს დამავიწყდება პირველი გაკვეთილი...

ასჯერ დაწერილი და დახეული გაკვეთილის გეგმა....

ყველაფერმა მშვენივრად ჩაიარა, აკანკალებული ხმით დაწყებული გაკვეთილი ომახიანად დავამთავრე, ამის შესაძლებლობა კი, პროექტის ფარგლებში გავლილმა მაღალი დონის ტრენინგებმა მომცა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებული ამგვარი პროექტები შესანიშნავი საშუალებაა, რომ ახალგაზრდამ გამოავლინოს ცოდნა და გზა გაიკაფოს მომავლისაკენ.

თანამედროვე მეთოდებითა და აქტივობებით დატვირთული გაკვეთილები ხალისით ენაცვლებოდა ერთმანეთს...

საოცარი სისწრაფით განვლო ერთმა წელმა, მერე იყო ქორწილი...

დღეს ორი შვილის დედა ვარ და ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლაში ვასწავლი მცირეკონტიგენტიან სკოლაში, 3 ბავშვთან წარმართული გაკვეთილი ისეთივე საინტერესო და შემოქმედებითია, როგორც მრავალრიცხოვან კლასში, ვცდილობ მათთან მივიტანო ყველაფერი ახალი, თანამედროვე, „ჯგუფური მუშაობის ფორმებსაც“ კი საოცარი ინტერპრეტაციით ვიყენებთ ხოლმე....

მგონი შედგა...

ალბათ, მეც მაქვს უფლება მქონდეს პროფესია –

მ ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი.

და მაინც,

ყველაფერი სარკის წინ დაიწყო....

თამარ კვანტიძე

ჭიათურის მუნიციპალიტეტის თაბაგრების საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი

არ დავიწყება მოყვრისა

მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღზევების წლები იყო. ემატებოდა ფაკულტეტები, იქმნებოდა ახალ-ახალი სპეციალობები, მყარდებოდა კავშირები უცხოეთის უნივერსიტეტებთან და ა.შ. რაც ყველაზე მთავარია, უნივერსიტეტი იყო კერა, სადაც ადამიანები სამშობლოსა და ერთმანეთის სიყვარულს სწავლობდნენ. ერთ ოჯახად შეკრულნი, ჭირსა და ლხინში ერთმანეთის გვერდით იდგნენ. სხვა სპეციალობებთან ერთად, დიდი ყურადღება ექცეოდა სპორტისა და კულტურის სფეროს. სპორტის კათედრას სათავეში ედგნენ ცნობილი ადამიანები: კოტე ზაუტაშვილი, ელენე გოკიელი, თენგიზ ფურცელაძე, ვლადიმერ უგრეხელიძე და ა.შ. წლების მანძილზე ამ კათედრაზე მოღვაწეობდნენ და სტუდენტთა აღზრდის საქმეს ემსახურებოდნენ, პედაგოგები: ნელი სალაძე, ნონა ბარათაშვილი, გივი ჩოხელი, დავით ქამუშაძე, თენგიზ ფურცელაძე, ბადრი ბიბილაშვილი, ბიკენტი ტყეშელაშვილი, ნოდარ ფერაძე, კუკური ცერცვაძე, ოთარ კარსანიძე,

იური გურგენიძე, ჩერმენ ძებისაშვილი, შოთა ლებანიძე, მურმან ტყეშელაშვილი და სხვ. (ბოდიშს ვუხდი თუ ვინმე ვერ გავიხსენე).

საქართველოში იმხანად დიდი ყურადრება ექცეოდა ფიზიკურ აღზრდას და სპორტს. საგანი უმაღლესი სასწავლებლების ყოველკვირეულ სასწავლო დატვირთვაში შედიოდა. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორებიც, აკადემიკოსები ნიკო კეცხოველი და ევგენი ხარაძე, სტუდენტური სპორტული კლუბის თავმჯდომარე გიორგი (ჟორა) პატარიძე, განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდნენ უნივერსიტეტში სპორტის განვითარებას. ყოველწლიურად, გაზაფხულზე ტარდებოდა შიდა საფაკულტეტო და საუნივერსიტეტო სპარტაკიადები, განსაკუთრებული ინტერესით ელოდებოდნენ სტუდენტები გამარჯვებულთა დაჯილდოებას. უნივერსიტეტს ჰყავდა ნაკრები გუნდები სპორტის ყველა სახეობაში, რომლებიც წარმატებით მონაწილეობდნენ რესპუბლიკურ, ამიერკავკასიის, საკავშირო უნივერსიადებში. მათ შორის ცნობილი იყო კალათბურთელ ქალთა და ვაჟთა ნაკრები გუნდები, რომლებიც ღირსეულად იცავდნენ უნივერსიტეტის სპორტულ სახელს და მრავალ გზის პრიზიორები იყვნენ. აღსანიშნავია საკავშირო სტუდენტური თამაშები, (უნივერსიადა). სადაც მათ გუნდური პირველი ადგილი, საპრიზო მეორე ადგილი დაიკავეს, ტარდებოდა გასვლითი ამხანაგური შეხვედრები პოლონეთის, ჩეხეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ბულგარეთის უნივერსიტეტების სტუდენტთა შორის. მიღწეულ წარმატებებში დიდია მთავარი მწვრთნელის, დავით ქამუშაძის, მწვრთნელების: შალვა დიასამიძის, გივი ჩახავას, ალეკო მესხის დამსახურება. გუნდის კაპიტნები იყვნენ სპორტის ოსტატები: ლამარა გენგაშვილი და მურმან ხაჭაპურიძე. შეუძლებელია იმ დიდი ღვაწლისა და ამაგის დავიწყება, რაც მათ მიუძღვით ამ გუნდების მომზადებასა და სპორტულ მიღწევებში. ერთი პერიოდი ბატონი დავით ქამუშაძე კათედრის გამგის მოვალეობასაც ასრულებდა.

ვეტერანი კალათბურთელები დღემდე ინარჩუნებენ მეგობრულ ურთიერთობას, ხშირად იკრიბებიან და იხსენებენ მეგობრებს, გარდაცვლილ მწრთვნელებს. ცოტა ხნის წინაც შეიკრიბნენ უნივერსიტეტის ბაღში დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესიაში, სადაც პარაკლისი აღავლინა ეკლესიიის მოძღვარმა მამა იოსებმა. მათ პატივი მიაგეს გარდაცვლილთა ხსოვნას. მოსახსენებელი ტრაპეზი გაიმართა „ფიქრის გორაზე“ – ვეტერანი კალათბურთელის, ჩოხოსნის ზაურ ტყეშელაშვილის „სამასპინძლო სახლში“, სადაც სხვა მნიშვნელოვან ეთნიკურ ექსპონატებთან ერთად, გამოფენილია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სპორტული მიღწევების ამსახველი ფოტოები.

ასე რომ , არ დავიწყება მოყვრისა ჩვენი და მომავალი თაობის ვალია, რომელმაც აუცილებლად უნდა იცოდეს მათი ღვაწლის შესახებ, ვინც ქვეყნის ისტორიას ქმნის.

მარინე ნებიერიძე

იურისტის კონსულტაცია

პედაგოგს შეუძლია კვალიფიკაციის ამაღლებისთვის მოითხოვოს შვებულება?

დიახ, პედაგოგს შეუძლია აიმაღლოს კვალიფიკაცია, რისთვისაც, 6 წელიწადში ერთხელ, უფლებამოსილია მოითხოვოს ანაზღაურების გარეშე შვებულება 1 წლამდე ვადით, სამუშაო ადგილის შენარჩუნებით.

დასაშვებია თუ არა საჯარო სკოლაში დისციპლინური კომიტეტის წევრებს შორის ნათესაური კავშირი?

საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს, დისციპლინური კომიტეტის და სააპელაციო კომიტეტის წევრები არ შეიძლება იყვნენ ერთმანეთის ახლო ნათესავები. გამონაკლისის დაშვება შეიძლება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანხმობით, მცირეკონტინგენტიან სკოლებში.

სავალდებულოა თუ არა, რომ პედაგოგი საგაკვეთილო საათების დასრულების შემდგომ იმყოფებოდეს სკოლაში?

მასწავლებლისათვის თანამდებობრივი სარგოს მიცემა სამუშაო საათების მიხედვით არ ნიშნავს, რომ იგი საგაკვეთილო საათების, სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებისა და მოსწავლესთან ინდივიდუალური მუშაობისათვის საჭირო დროის გარდა აუცილებლად უნდა იმყოფებოდეს სკოლაში. მასწავლებელს უფლება აქვს, მისი სამუშაოს ნაწილი – პროფესიულ განვითარებაზე მუშაობა, გაკვეთილებისათვის მომზადება და სხვა, შეასრულოს სკოლის გარეთ. თუ სკოლის დირექცია თვლის, რომ მასწავლებელი ვერ აღწევს სასურველ შედეგებს სწავლებისას, უფლებამოსილია მასწავლებელს მოსთხოვოს სამუშაო კვირისათვის გათვალისწინებული საათების ფარგლებში სკოლაში მუშაობა, სწავლების შედეგების გაუმჯობესებამდე.

მაქსიმუმ რამდენი საათის ჩატარების უფლება შეიძლება ჰქონდეს დირექტორს?

სკოლის საშტატო განრიგით გათვალისწინებული პირებისა (გარდა მასწავლებლისა და საინფორმაციო მენეჯერისა) და სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში დასაქმებული შტატგარეშე მოსამსახურეების სამუშაო დატვირთვა არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 10 საგაკვეთილო საათს.

დასაქმებულს დროებითი შრომისუუნაროების გამო დახმარება რის საფუძველზე შეიძლება არ მიეცეს?

ა) პირებს, რომლებმაც ტრავმა მიიღეს დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის დროს ან განზრახ აყენებენ ზიანს თავიანთ ჯანმრთელობას;

ბ) მკურნალი ექიმის მიერ დაწესებული რეჟიმის დარღვევისას;

გ) თუ დროებითი შრომისუუნარობა გამოწვეულია დაავადებით ან ტრავმით, რომლის უშუალო მიზეზია არაფხიზელი მდგომარეობა (ალკოჰოლური, ნარკოტიკული და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებით თრობა);

დ) კანონით დადგენილი წესით სამსახურიდან ჩამოშორების ან სასამართლოს გადაწყვეტილებით არანებაყოფლობითი სტაციონარული ფსიქიატრიული დახმარების და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზაზე ყოფნის დროს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების თავისუფალი პროფკავშირის იურიდიული დეპარტამენტი

საერთაშორისო კვლევა

მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA) შედეგები

PISA 2015 წლის მონაცემების მიხედვით, ქართველმა მოსწავლეებმა, 2009 წელთან შედარებით, უკეთესი შედეგი აჩვენეს როგორც საბუნებისმეტყველო საგნებში, ასევე წაკითხულის გააზრებასა და მათემატიკაში.

საქართველო პირველ ხუთეულშია იმ რამდენიმე ქვეყანას შორის, რომლებმაც წინა ციკლებთან შედარებით შედეგი სამივე მიმართულებით მნიშვნელოვნად გაუმჯობესა. კერძოდ, საბუნებისმეტყველო საგნებში ქართველ მოსწავლეთა მიღწევის მაჩვენებელი სამ წელიწადში 23 ქულით გაიზარდა, წაკითხულის გააზრებაში – 16 ქულით და მათემატიკაში – 15 ქულით. გაუმჯობესების ტენდენციის მიუხედავად, ქართველი მოსწავლეების მიღწევები სამივე სფეროში OECD-ის საშუალო ქულაზე მნიშვნელოვნად დაბალია.

აღსანიშნავია, რომ საბუნებისმეტყველო საგნებსა და მათემატიკაში, მსოფლიო ტენდენციის საპირისპიროდ, ქართველი გოგონები უკეთეს შედეგს აჩვენებენ, ვიდრე ბიჭები. მაგ., მათემატიკაში საქართველო ასეთ ცხრა ქვეყანას შორის მოხვდა.

მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით შედეგენილი რეიტინგული სიის სათავეში სინგაპური, იაპონია, ესტონეთი, ტაილანდი და ფინეთი მოექცნენ.

PISA საერთაშორისო კვლევაა, რომელიც ამოწმებს 15 წლის მოზარდების მზაობას, გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რომლებიც სკოლაში მიიღეს.ეს ის ასაკია, როცა მოსწავლეები თითქმის ასრულებენ სავალდებულო განათლების კურსს. PISA-ს მიზანს არ წარმოადგენს, შეამოწმოს, თუ რამდენად კარგად აითვისეს მოსწავლეებმა უშუალოდ სკოლის პროგრამა, არამედ მიმართულია განსაზღვროს, რამდენად კარგად არიან მოსწავლეები მომზადებული საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური და სრულფასოვანი ჩართულობისათვის.

PISA 2015 სულ 72 ქვეყანაში ჩატარდა, მათ შორის 35 OECD-ის წევრია. დაახლოებით 540 000 მოსწავლე წარმოადგენდა თავის ქვეყანას, აქედან 6000-ზე მეტი ქართველი მოსწავლე იყო, რომლებიც, თავის მხრივ, 263 სკოლიდან შეირჩნენ.

PISA-ს ახორციელებს ეკონომიკური და კულტურული განვითარების ორგანიზაცია (OECD). საქართველო კვლევაში 2009 წლიდან მონაწილეობს. მომდევნო ციკლი 2018 წელს იგეგმება. 2015 წლიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი კვლევას ათასწლეულის გამოწვევის ფონდი-საქართველოს (MCA) და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მხარდაჭერით ახორციელებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი მუშაობს PISA 2015-ის ნაციონალური ანგარიშის მომზადებაზე. დეტალური ინფორმაცია კვლევის მიგნებების შესახებ რამდენიმე თვეში გამოქვეყნდება.

მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების საერთაშორისო კვლევის TIMSS-ის შედეგები

2015 წელს, 2007-2011 წლების შედეგებთან შედარებით, ქართველმა მოსწავლეებმა TIMSS-ის მიღწევები გაუმჯობესეს როგორც მათემატიკაში (მე-4, მე-8 კლასები), ასევე ბუნებისმეტყველებაში (მე-8 კლასი; მე-4 კლასში შედეგები არ შეცვლილა). პოზიტიური ტენდენციების მიუხედავად, ქართველ მოსწავლეთა შედეგები საერთაშორისო საშუალო მაჩვენებელზე დაბალი რჩება. მიღწევების მიხედვით შედგენილ რეიტინგულ სიას კვლავ ლიდერობენ აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები (სინგაპური, ჰონგ კონგი, სამხრეთ კორეა, ტაივანი და იაპონია).

საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციისა და ბოსტონ კოლეჯის საერთაშორისო კვლევების ცენტრის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ პრესრელიზში აღნიშნულია, რომ გენდერული ნიშნით მოსწავლეთა მიღწევებს შორის სხვაობა მცირდება, ასევე, მონაწილე ქვეყნებში სასკოლო გარემო უფრო უსაფრთხო ხდება.

„სახეზეა პოზიტიური ტენდენცია, რომ განათლების ხარისხი უმჯობესდება მთელ მსოფლიოში. ზოგიერთმა ქვეყანამ გააუმჯობესა შედეგი, ზოგიერთმა ამ სხვაობის შემცირება შეძლო“, – აღნიშნა ბოსტონ კოლეჯის საერთაშორისო კვლევების ცენტრის წარმომადგენელმა, **აინა მულისმა**.

საგანმანათლებლო მიღწევების საერთაშორისო ასოციაციის (IEA) ინიციატივით, TIMSS-ი უკვე 20 წელია ტარდება და მსოფლიოში ყველაზე ფართომასშტაბიან საგანმანათლებლო კვლევად ითვლება. კვლევაში სხვადასხვა ქვეყნის 600 ათასზე მეტი მოსწავლე მონაწილეობს. კვლევის ფარგლებში ფასდება 9-10 და 13-14 წლის მოზარდების ცოდნა მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში და იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების პროცესზე.

საქართველო მონაწილეობდა კვლევის სამ ციკლში – 2007, 2011 და 2015 წლებში.

2015 წელს TIMSS-ის კვლევაში 153 სკოლის 9000-ზე მეტი მოსწავლე იყო ჩართული. საქართველოში კვლევას „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს“ (MCA) და „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის“ (MCC) მხარდაჭერით შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახორციელებს.

შეფასებისა და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო მუშაობა TIMSS 2015-ის ნაციონალური ანგარიშის მომზადებაზე. დეტალური ინფორმაცია კვლევის მიგნებების შესახებ რამდენიმე თვეში გამოქვეყნდება.

ინფორმაცია

ქართველი ბავშვები საბერძნეთში მშობლიურ ენას ისწავლიან

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დელეგაცია, მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურის** ხელმძღვანელობით ოფიციალური ვიზიტით საბერძნეთს ეწვია. ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საბერძნეთში განათლების, კვლევის და რელიგიის საქმეთა სამინისტროსთან მოლაპარაკებების დასრულება საბერძნეთის სკოლებში ქართული ენის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლეებისთვის ენის სწავლების ნებართვასთან დაკავშირებით.

ვიზიტის ფარგლებში, მინისტრის მოადგილემ, ლია გიგაურმა შეხვედრა გამართა საბერძნეთის განათლების, კვლევისა და რელიგიურ საქმეთა მინისტრის მოადგილესთან **კოსტას ზურარისთან**, რომელმაც კიდევ ერთხელ დაადასტურა თანამშრომლობის მზაობა. მხარეებმა განიხილეს თანამშრომლობის ასპექტები განათლებისა და მეცნიერების სფეროში, მათ შორის საბერძნეთის საჯარო სკოლებში ქართული ენის სწავლების საპილოტე პროგრამით გათვალისწინებული ვალდებულებები.

შეხვედრისას ლია გიგაურმა მადლობა გადაუხადა ბერძენ კოლეგას დაწყებითი განათლების საფეხურზე ქართული ენის სწავლების პროგრამის პილოტირების დაწყების შესახებ დადებითი გადაწყვეტილებისათვის. თავის მხრივ, კოსტას ზურარისმა გამოთქვა მზადყოფნა ქართული ენის სწავლების პროგრამის გაფართოებაზე, სხვა ქალაქებსა და სხვა სკოლებში ქართული დიასპორის მხრიდან მზარდი მოთხოვნის შემთხვევაში.

ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, მინისტრის მოადგილემ მოინახულა ათენის 50-ე საჯარო სკოლა, რომლის ბაზაზეც მოხდება ქართული ენის სწავლების პროგრამის პილოტირება, ასევე, შეხვდა ქართველ მოსწავლეებს.

ლია გიგაური ასევე შეხვდა საბერძნეთში მცხოვრები ქართული დიასპორის იმ წარმომადგენლებს, რომლებიც საბერძნეთში საკვირაო სკოლებს და ქართული ენის საგანმანათლებლო პროგრამებს ხელმძღვანელობენ. მინისტრის მოადგილემ შეხვედრაზე შეკრებილ ქართული თემის წარმომადგენლებს მიაწოდა ინფორმაცია განათლებისა და მეცნიერების სფეროში საქართველოს მთავრობის მიერ მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე. მათგან მიიღო ინფორმაცია მოსწავლეების და ქართული საკვირაო სკოლების საგანმანათლებლო საჭიროებებზე. კოლეგებმა ასევე, იმსჯელეს პრობლემების გადაჭრის გზებსა და დისტანციური განათლების საჭიროებაზე.

მინისტრის მოადგილემ მადლობა გადაუხადა საბერძნეთში საქართველოს ელჩს **იოსებ ნანობაშვილს**, განათლების სფეროში ორი ქვეყნის თანამშრომლობისთვის გაწეული ინტენსიური სამუშაოებისთვის.

ტურიზმისთვის საჭირო პროფესიული უნარები

„აღმოაჩინე შენი ტალანტი“ – აღნიშნული ლოზუნგით გაიხსნა პროფესიული უნარების ევროპული კვირეული, რომელიც წელს პირველად ტარდება და ამით საქართველო პროფესიული უნარების ევროპულ კვირეულს უერთდება. კვირეულის ფარგლებში, დაგეგმილია მრავალფეროვანი აქტივობები, რომელიც პროფესიული განათლების შესახებ სხვადასხვა ჩართული მხარეების ცნობიერების ამაღლებას და საუკეთესო პრაქტიკის ჩვენებას ისახავს მიზნად.

კვირეულის ფარგლებში, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) ორგანიზებითა და ტურიზმის სექტორის წარმომადგენელთა ჩართულობით, ტურიზმისათვის საჭირო პროფესიული უნარებისადმი მიძღვნილი შეხვედრა გაიმართა.

პროფესიული განათლების სისტემის დაახლოება შრომის ბაზრის მოთხოვნებთან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. პროფესიულ განათლებაში, უნარებთან მიმართებაში, უპირველესი დამკვეთი დამსაქმებელია და მათი როლიც პროფესიული განათლების სეგმენტში, ყველა საფეხურზე, აქტუალურია. სწორედ ამიტომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უზრუნველყოფს დამსაქმებლების ჩართულობას მოდულური პროგრამების შემუშავების პროცესში. 2016 წლის საშემოდგომო მიღებისათვის დაიწყო სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) სწავლების კონცეფციის დანერგვა პროფესიული განათლების სისტემაში.

ქეთევან ნატრიაშვილი, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე: *„წელს საქართველო პირველად უერთდება პროფესიული უნარების ევროპულ კვირეულს, რომლის მიზანიცაა პროფესიული განათლების ირგვლივ ყურადღების მობილიზება და კიდევ ერთხელ შეხსენება, რომ პროფესიული განათლება ძალიან ღირსეული არჩევანია და უდიდეს შესაძლებლობებს უხსნის ადამიანს. ჩვენი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია მივაწოდოთ საზოგადოებას ამ შესაძლებლობების შესახებ. განახლებული სისტემის ფარგლებში, თანამედროვე და საერთაშორისო სტანდარტების შესაფერის პროფესიულ განათლებას ვთავაზობთ მოსახლეობას. ამ კუთხით ჩვენი მხარდამჭერია არაერთი საერთაშორისო ორგანიზაცია, მათ შორის გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება.*

დღეს ძალიან მნიშვნელოვან თემაზე ვსაუბრობთ – ტურიზმის სფეროში უნარების საჭიროება, რაც დიდწილად დაკავშირებულია პროფესიულ განათლებასთან, კერძო სექტორთან თანამშრომლობასთან, ბიზნესისთვის საჭირო მაღალკვალიფიციური კადრების მომზადების მიზნით. ამის გარეშე წარმოუდგენელია ბიზნესის განვითარება და ასევე რთულია, დამატებით მოიზიდო ტურისტები ქვეყანაში. ჩვენ უკვე დავიწყეთ დუალური სისტემით გარკვეული რაოდენობის პროგრამების დანერგვა. წელს სამი პროგრამის მიმართულებით გადავდგით ნაბიჯები – მეღვინეობის, მეხილეობის, მეცხოველეობის. ვფიქრობთ, მომავალ წელს უკვე დავიწყებთ თანამედროვე სტანდარტების პროგრამების განხორციელებას ტურიზმის მიმართულებით. დუალური მიდგომა მნიშვნელოვანწილად გააუმჯობესებს პროფესიული განათლების ხარისხსაც და შესაბამისობაში ვიქნებით ევროპულ საგანმანათლებლო სივრცესთან და, რაც მთავარია, გაუმჯობესდება დასაქმების მაჩვენებელიც.“

ქეთი ბოჭორიშვილი, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე: *„ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ვიზიტორების რაოდენობა იზრდება, შესაბამისად იზრდება განთავსების ობიექტები, ტურისტულ ინფრასტრუქტურაში და ტურისტულ ბიზნესში დასაქმებულთა რაოდენობაც. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აქცენტი გაკეთდეს ხარისხის გაუმჯობესებაზე და მაღალი სერვისის მიწოდებაზე. ინფრასტრუქტურის შექმნა და ხარისხის გაუმჯობესება ტურიზმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა. სხვადასხვა პარტნიორებთან ვთანამშრომლობთ, რათა მოხდეს ამჟამად უკვე დასაქმებულების გადამზადება და ასევე ახალი ნაკადების შექმნა ამ სფეროში. უახლოეს მომავალში ათეულ ათასობით ახალი სამუშაო ადგილი შეიქმნება. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი კვალიფიკაციის და შესაბამისი უნარების მქონე კადრები არსებობდეს ქვეყანაში.“*

გიორგი ჩოგოვაძე, ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი: *„ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება. ეს კიდევ უფრო და უფრო აქტუალური ხდება იმ ფონზე, როდესაც ჩვენთან ტურისტების რეკორდული რაოდენობა ფიქსირდება. ამ ადამიანებს მომავალში ხელმეორედ ვიზიტის განხორციელების სურვილი რომ გავუჩინოთ, მაღალი ხარისხის მომსახურება უნდა დავახვედროთ.“*

სოფლის სკოლა

დიდი სკოლის მემკვიდრე

ირაკლი თავაძე

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შემავალი ზემოხეთის არასრული საჯარო სკოლა მცირეკომპლექტიანია – შარშან ის სამინისტროსეულ რეფორმაში მოჰყვა და 9-კლასიანიდან 7-კლასიანად გადაკეთდა. ამათგან ერთი კლასკომპლექტია, რომელშიც მესამე-მეოთხე კლასებია გაერთიანებული, სკოლაში ამჟამად 10 მოსწავლეა. ცხადია, ასეთ პირობებში სპორტის გაკვეთილების სრული დატვირთვით ჩატარებაც ძნელია და – სხვა საგნებისაც. სპორტის სამი სავალდებულო დისციპლინაც ამ სპეციფიკის გათვალისწინებით აირჩიეს – მაგიდის ჩოგბურთი, შაში და ჭადრაკი. სამივე ისეთი სახეობაა, მაინცდამაინც რთული არც მატერიალურ-ტექნიკური ბაზა სჭირდება და თან ინდივიდუალური სახეობებია. ამას ისიც ემატება, რომ სკოლას არ აქვს სპორტული დარბაზი...

ეს ჩემი მშობლიური სკოლაა, რომელიც 28 წლის წინ დავამთავრე. ფიზკულტურას მაშინაც ახლანდელი სპორტის მასწავლებელი **ზურაბ სანიკიძე** ასწავლიდა, იმდროინდელი მასწავლებლებიდან კი ისევ მუშაობენ ჩემი კლასის დამრიგებელი **ნათელა ცოგიაიძე**, მაშინდელი დირექტორი **იური ნიკოლაიშვილი**, **თამარ თევზაძე**, **ნანა თავაძე**, **ვარა სოზაშვილი**... სკოლისთვის სპორტული დარბაზი იმ დროსაც პრობლემა იყო და ზამთარში ან წვიმიან ამინდში ნუგეშად მხოლოდ შაში გვრჩებოდა, ახლა კი მოსწავლეები ბევრად უკეთეს დღეში არიან, რადგან მაგიდის ჩოგბურთიც დაემატათ... მისთვის ინვენტარი – მაგიდის ერთი კომპლექტი, თავის დროზე, რაიონულმა საკრებულომ აჩუქა სოფლის საკრებულოს, იმათ კი, რადგან სხვაგან ფართი არ ჰქონდათ, სკოლის ძველ შენობაში დადგეს. ასე შემორჩა ეს მაგიდა სკოლას, რაც კარგი საჩუქარია ბავშვებისთვის.

როგორც ზურაბ სანიკიძე ამბობს, სკოლას ინვენტარის მხრივ არ უჭირს. მაგალითად, აქვთ ბურთები – ფეხბურთის, ფრენბურთის, კალათბურთის, მაგიდის ჩოგბურთის. ასევე აქვთ ჭადრაკისა და შაშის დაფები და სხვა აუცილებელი სპორტული ინვენტარი. თუმცა პრობლემები გაცილებით მეტია და გაცილებით დიდი. მაგალითად, დარბაზის არქონაზე არანაკლებ პრობლემურია ღია მოედანი, რომელიც დღეს გაცილებით შემცირებულია, ვიდრე – ჩემს ბავშვობაში. სკოლის ახალი შენობა 2006 წელს აშენდა საპრეზიდენტო პროგრამის ფარგლებში, როგორც მაღალმთიან სოფელში, ოღონდ ეს ყველაფერი მოედნის ხარჯზე მოხდა – დაიდგა იქ, სადაც კალათბურთისა და ფრენბურთის კომბინირებული მოედანი იყო. დღეს, საფეხბურთო სტადიონის გვერდით, კალათბურთის მხოლოდ ერთი ფარია. არადა, ეს მოედანი სოფელში ერთადერთია და ის ოდითგან არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებს, სხვა ასაკის მაცხოვრებლებსა და ზაფხულში დამსვენებლებსაც ემსახურებოდა. ზაფხულობით იქ ხშირად ყოფილა ხოლმე ისეთი ხალხმრავლობა, სათამაშო კი არა, სამუსაიფოდ ჩამოსაჯდომი ადგილიც ჭირდა. ამიტომ სოფელში, აქა-იქ, საკუთარი ინიციატივით, სასოფლო დანიშნულებისთვის გამოუყენებელ მინდვრებზეც აწყობდნენ მოედნებს, რომლებიც ზაფხულობით გადატენილი იყო. ახლა სკოლის საფეხბურთო მოედანიც ძალიან უხერხულ ადგილას აღმოჩნდა – ზედ ემიჯნება შენობას და არსებობს მინების ჩამსხვრევის ალბათობა. მართალია, ძველი შენობაც ახლოს იყო მოედნებთან, მაგრამ მასა და საფეხბურთო არენას შორის კალათბურთ-ფრენბურთის ის ზემოხსენებული მოედანი იყო, რაც რისკს ბევრად ამცირებდა.

სპორტით დაინტერესებული სოფლის ბავშვებისთვის რაიონის ხელმძღვანელობა უკვე მეორე წელიწადია, მართლაც რომ უმნიშვნელოვანეს საქმეს აკეთებს – ჩოხატაურიდან ზემოხეთამდე დანიშნულია სპეციალური მიკროავტობუსი, რომელსაც ბავშვები, კვირაში რამდენჯერმე, რაიონულ ცენტრში ჩაჰყავს, სადაც სპორტულ სექციებში ვარჯიშობენ, შემდეგ კი ისევ სოფელში ამოჰყავს. ტრანსპორტი ამ მიმართულებით მდებარე ყველა საკრებულოს ემსახურება – კოხნარისა და საჭამიასერის თემებსაც. თან სპორტისთვის გამოყოფილად კი მიიჩნევა, მაგრამ ლიტერატურული თუ სხვა წრეებით – დაინტერესებული ბავშვებიც თან დაჰყავს. ამ მართლაც საყურადღებო, საშვილიშვილო წამოწყებამ გაამართლა და ძალიან ბევრი ბავშვია ჩაბმული სპორტში. ზემოხეთის სკოლიდან, უკლებლივ ყველა რომელიმე წრეზე დადის, უმეტესობა კი – სპორტზე: ძიუდო, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, რაგბი, ფეხბურთი და სხვა... როგორც გითხარით, ეს პროგრამა მეორე წელია, მოქმედებს, ეს კი არც ისე დიდი დროა, თუმცა ზემოხეთის სკოლის ერთი მოსწავლე უკვე შარშანვე გადაიყვანეს საფეხბურთო კლუბში. ზოგადად, ხევისწყალას ხეობის ზემოჩამოთვლილ თემებში ინტერესი იმდენად დიდია, რომ ის ერთი მიკროავტობუსი ყველა მსურველს ვერ იტევს და გაჩნდა იდეა, რომ საჭიდაო სახეობებისთვის სექცია კოხნარშიც გაიხსნას. იმედია, ჩანაფიქრი რეალობად იქცევა და ეს პროექტიც დიდხანს იარსებებს.

სოფლებში რომ ბევრი ნიჭი უკვალოდ იკარგება, არახალია. ნიჭიერი ბავშვები ჩემ დროსაც ბევრნი იყვნენ, მაგრამ სპორტულ სექციებში სიარულს უტრანსპორტობის გამო ვერ ვახერხებდით – სპეციალურად გამოყოფილს ვინღა დაეძებს, რაიონულ ცენტრამდე არ იყო პირდაპირი სარეისო ავტობუსი, ხოლო ვარჯიშის შემდეგ სახლში დაბრუნება, უკეთეს შემთხვევაში, შუაღამისას თუ შეიძლებოდა, როცა ავტობუსი ბოლო რეისს ასრულებდა და ისიც მხოლოდ საჭამიასერამდე. ამის გამო ჩვენთვის დიდ სპორტზე მხოლოდ ოცნება თუ შეიძლებოდა, თორემ ვინ იცის, მართლაც რამდენი ტალანტი დაიკარგა უყურადღებობით და არა მხოლოდ ზემოხეთში.

სპეციალური ავტობუსი სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებსაც ემსახურება – დილით მოჰყავს, გაკვეთილების დასრულების შემდეგ კი მიჰყავს. ესეც ძალიან კარგი საქმეა, რადგან მასწავლებელთა დიდი ნაწილი საჭამიასერიდან დადის, 3-4 კილომეტრიდან. ამ სოფლის სკოლადამთავრებულებიც,

სწავლის გასაგრძელებლად, იქაურ საშუალო სკოლაში დადიან, მაგრამ თვით ზემოხეთის მოსწავლეთა ნაწილიც არანაკლებაა დაშორებული სოფლის სკოლას. ცხადია, მათთვის დიდი შეღავათია ეს ტრანსპორტი, რადგან, ბოლო წლებში, ბევრი ოჯახი იმიტომ გადასახლდა სოფლიდან, რომ შვილებს რამდენიმე კილომეტრზე ვერ ატარებდნენ სკოლაში. ოღონდ ის ტრანსპორტი, რატომღაც, საჭამიასერის სკოლისთვისაა დანიშნული (!), ანუ ვალდებულია მათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებზე. მძღოლები თავისი კეთილი ნებით უარს არც ზემოხეთის სკოლის კონტინგენტს ეუბნებიან, თუმცა, პერიოდულად მცირე გაუგებრობები მაინც ხდება ხოლმე (ოღონდ არა მძღოლების მიზეზით). არა გვგონია, ეს პრობლემა რაიონის ხელმძღვანელობისთვის ძნელად მოსაგვარებელი იყოს. თუმცა ზემოხეთის სკოლაშიც არის ერთი მასწავლებელი – **გულიკო თავაძე**, რომელიც ამ სიკეთით ვერ სარგებლობს. ის ზემოხეთის თემის ყველაზე შორეულ სოფელში – თხილაგანში ცხოვრობს, სადაც, უგზოობის გამო, ტრანსპორტის მოძრაობა გაძნელებულია.

ზოგადად, როგორც აქაური მასწავლებლები ამბობენ, უგზოობა სოფლის და სკოლის უმთავრესი პრობლემაა, რაც პირდაპირ იწვევს მიგრაციას და მოსწავლეთა შემცირებას. სკოლის დირექტორი **ვასილ ნიკოლაიშვილი** მთავარ დაბრკოლებად მცირე კონტინგენტს ასახელებს, რადგან ამის გამო მონაწილეობას ვერ იღებენ ვერც სპორტულ და ვერც სხვა სახის ღონისძიებებში – ვერ ახერხებენ გუნდის გაყვანას. იყო იდეა, რომ საჭამიასერის სკოლასთან ერთად გაერთიანებული გუნდი შეექმნათ, მაგრამ წინააღმდეგობას თავად იმ ღონისძიებების დებულებების გამო წააწყდნენ, რაც ერთი სკოლიდან ერთი გუნდის გაყვანას ითვალისწინებს, ასეთ გაერთიანებას კი გამორიცხავს. არადა, საჭიროა, ასეთი პატარა სკოლების ინტერესებიც გაითვალისწინონ – მცირერიცხოვნობის მიუხედავად, ამ სკოლის მოსწავლეებს არასპორტულ სფეროებშიც ბლომად წარმატებები აქვთ.

როგორც გითხარით, სკოლის ახლანდელი შენობა 2006 წელს აშენდა და საზეიმოდ გაიხსნა, რასაც ქვეყნის მაშინდელი პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილიც** დაესწრო. სოფელში იმ დროსაც არსებობდა გასული საუკუნის 20-იან წლებში აშენებული სკოლის ორსართულიანი, სქელკედლებიანი და ვრცელი შენობა. სოფლის მოსახლეობის დიდი სურვილი იყო, ახლის აშენების ნაცვლად, ის გაერემონტებინათ, მაგრამ ხალხს ვინ უგდო ყური – ამოვიდნენ „სპეციალისტები", რომლებმაც დადეს დასკვნა, რომ შენობა ავარიულია და შერემონტებას არ ექვემდებარება. არადა, მას შემდეგ 10 წელიწადი გავიდა, ის ვითომ ამორტიზებული ნაგებობა კი დღესაც თავის ადგილას დგას. უბრალოდ, უპატრონობამ თავისი კვალი დაატყო – ზოგან იატაკია აყრილი, ფანჯრები ჩაიმსხვრა და ბევრგან ჩარჩოებიც აღარაა, მაგრამ ეს დღესაა ასეთ მდგომარეობაში, თორემ, თავის დროზე, მის გარემონტებას 5, მაქსიმუმ 10 ათასი ლარი თავისუფლად ეყოფოდა. არადა, ოფიციალური მონაცემებით, ახალი შენობის აგება 52 ათასი ლარი დაჯდა, ამ დროს კი ის ბევრად პატარაა ძველთან შედარებით. ამბობენ, სოფლიდან წასულ სააკაშვილსაც უთქვამს, რომ მცოდნოდა, აქ ასეთი სკოლა იყო, იმას გავარემონტებდი და ახალს არ ავაშენებდიო. სამწუხაროდ, ძველი სკოლის გამოყენებაზე არავის უფიქრია – თავისუფლად შეიძლებოდა იქ სპორტული დარბაზის გაკეთება, ან ბიბლიოთეკის, საკრებულოს (ესეც თავიდან ააშენეს) თუ სხვა საჯარო დაწესებულების განთავსება... ახლა კი დგას ის ვრცელი შენობა დადუმებული, მოქუფრული და გარინდებული, თან სათუთად ინახავს სოფლის ისტორიას. ყოველთვის სინანულით შევდივარ იმ შენობაში და მოგონებები თავისით მოდიან. მოგონებები გარდაცვლილი თანაკლასელების, თანასკოლელების და მართლაც კარგი პედაგოგების – ჟორა გუბელიძის, ნოდარ ცხომელიძის, ქართლოს რიაზანოვის, ეთერ თევზაძის, ლეილა ჩხიკვაძის. სკოლის კედლები წინა თაობის მართლაც ჩინებულ მასწავლებელთა – სერაპიონ ჩიკაშუას, ეკატერინე თოდრიას, ელენე სიხარულიძის, ლაზარე ნიკოლაიშვილის, მარო თევზაძის, ნინა ნაცვლიშვილის და სხვათა ხსოვნასაც ინახავს, რომლებსაც სოფელში დღესაც მოწიწებით იხსენიებენ.

ნიგნის თვრო

მიმდინარეობს ხელმოწერა



ნიგნი I ძველი ქართული მწერლობა

ნიგნი II „ვეფხისტყაოსანი“

ნიგნი III XIX საუკუნის მწერლობა

ნიგნი IV XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“

ამინდი

არქიტექტურა

კრიმინალისტიკა

ჯანსაღი კვება

მთები



ევროპა

ოლიმპიური თამაშები

მეკობრეები

ქიმია



ხალხთა დიდი გადასახლება

მეცნიერებები



უძველესი აღმოჩენები

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

ბაკურ სულაკაურის
გამომცემლობა

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

კრებულში შესულია პრომრავით მათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. მაღალსფსკი ფენის ქვეშ მოთავსებულია ენიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც მათთავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე

fb.com/bakursulakauripublishing

ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მომხმარებელს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს რამდენჯერ თემების მიხედვით, ასევე შერეულად.

კრებულის ფასი – 9.90ლ

სერიის ფასი – 17.70ლ

ქართული ენის კრებულები

ერთიანი სასწავლო გეგმით მათვალისწინებული მრავალტიპის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.

ნამდვილი და მოგონილი ამბები

სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისთვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის მათვალისწინებით.

სერიის ფასი – 30.40ლ

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის

ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

14 ლარი

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში – წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და გუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

6,50 ლარი

მასწავლებლის სამუშაო რვეული



მასწავლებლის სამუშაო რვეული პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

4 ლარი

კათედრის გამგის პორტფოლიო

კათედრის გამგის პორტფოლიო საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

6 ლარი

მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას.**

კალენდარს ახლავს პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

5,50 ლარი

ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:
მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22
ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023

„ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“ UNESCO-ს კაცობრიობის არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის წარმომადგენლობით ნუსხაშია.

გადაწყვეტილება 30 ნოემბერს, ეთიოპიის დედაქალაქ ადის აბებაში, UNESCO-ს არამატერიალური მემკვიდრეობის მთავრობათაშორისმა კომიტეტმა მე-11 სესიაზე მიიღო.

კომიტეტის სესიაზე, რომელიც 28 ნოემბრიდან 3 დეკემბრამდე იმართება, საქართველოს დელეგაცია შემდეგი შემადგენლობით მონაწილეობს: საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი UNESCO-ში **ეკატერინე სირაძე-დელონე**, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **ნიკოლოზ ანთიძე**, საგარეო საქმეთა სამინისტროს, UNESCO-ს ეროვნული კომისიის გენერალური მდივანი **ქეთევან კანდელაკი**, საქართველოს მუდმივი წარმომადგენელი აფრიკის კავშირში **ვახტანგ ჯაოშვილი**, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს UNESCO-სა და საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი **რუსუდან მირზიკაშვილი**. ექსპერტის სტატუსით, UNESCO-ს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის კომიტეტის მიერ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მხრიდან მიწვეულია **კონსტანტინე ნაცვლიშვილი**.

აღნიშნული ნომინაცია საქართველოს მთავრობისა და კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელობით მომზადდა, ხოლო ნომინაციის მხარდაჭერა საერთაშორისო დონეზე უზრუნველყო საგარეო საქმეთა სამინისტრომ.

ნომინაციის მომზადებაში ჩართულები იყვნენ: ენათმეცნიერების ინსტიტუტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი, საქართველოს ეროვნული არქივი, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა, ეროვნული მუზეუმი, საქართველოს საპატრიარქო, არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები და ენათმეცნიერები. შეგახსენებთ, რომ 2015 წლის 19 მარტს, „უძველესი ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალ კულტურას“ არამატერიალური მემკვიდრეობის ეროვნული ძეგლის სტატუსი მიენიჭა.

ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა საუკუნეების განმავლობაში ქართული დამწერლობის ევოლუციისა და მის საფუძველზე მიღებული სამი ანბანური სისტემის (მრგლოვანი, ნუსხური, მხედრული) სხვადასხვა კულტურული და სოციალური ფუნქციით თანაარსებობის შედეგად ჩამოყალიბდა. ელემენტი მოიცავს ქართული ანბანის სამ სახეობას, მათი გამოყენების მრავალფეროვნებასა და თანაარსებობის ცოცხალ კულტურას, ლიტერატურულ მემკვიდრეობასა და კულტურას, ანბანის სწავლების მეთოდიკას (დედა ენა – საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდი), ტიპოგრაფიის, გრაფიკულ და მედიადიზაინის ხელოვნებას. ელემენტი ინახავს თხუთმეტსაუკუნოვანი ქართული სალიტერატურო ენის ლექსიკასა და გრამატიკას, რაც ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ფუნდამენტს წარმოადგენს.

UNESCO-ს მხრიდან „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურის“ კაცობრიობის არამატერიალურ კულტურულ მემკვიდრეობად აღიარებას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს როგორც ქართული საზოგადოებისა და დიასპორისთვის, ასევე საქართველოს კულტურულ-საგანმანათლებლო ინსტიტუციებისა და ზოგადად საქართველოს, როგორც მაღალი კულტურის მქონე ქვეყნის იმიჯის განმტკიცებისთვის საერთაშორისო დონეზე.

ნომინაცია ხელს უწყობს საქართველოში კულტურული მრავალფეროვნების შენარჩუნებას, საზოგადოებაში ტოლერანტობასა და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული სოციო-კულტურული კავშირების განმტკიცებას, ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების პოპულარიზაციას საერთაშორისო დონეზე, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას. იგი ასევე წაახალისებს ქართული ენის, ანბანისა და ლიტერატურის კვლევით ინსტიტუციებსა და ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის განმტკიცებას, რაც ელემენტის უმთავრეს დამცავ მექანიზმად მიიჩნევა.

საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო სრულიად საქართველოს ულოცავს ამ დიდ წარმატებას!

ბუბა კუდავა: *„დიდებული ამბავი!*

ქართული დამწერლობის მსოფლიო აღიარება!

მუდმივად მაწუხებს, რომ უმდიდრეს ქართულ სადამწერლობო კულტურას არ მივაგებთ ხოლმე ჯეროვან პატივს, არ ვიყენებთ ქვეყნის ერთ-ერთ უმთავრეს სავიზიტო ბარათად, არ გვახსოვს ხოლმე, არ ვამაყობთ სათანადოდ.

ჩაატარეთ ექსპერიმენტი და ქართველს თხოვეთ ჩამოთვალოს 5 ან 10 რამ, რაც უნიკალური გვაქვს. საპრიზო ადგილებზე ღვინო, ხინკალი, თამადა და ცეკვა-სიმღერა გავა. ამ კარგობებს არაფერს ვერჩი, ცხადია. უმრავლესობას დამწერლობა არც კი გაახსენდება. ალბათ ძალიან ჩვეულებრივია, ძალზე ყოველდღიურია, თითქოს ძალიან პრაქტიკული და იმიტომ. არადა: ასეთი ძველი, ასეთი მრავალფეროვან-სამსახოვანი, ასეთი ულამაზესი და ასეთი უმდიდრესი სადამწერლობო კულტურა განა რამდენ ქვეყანასა და რამდენ ხალხს აქვს მსოფლიოში?

მადლობა ყველას, ვინც იღვაწა.

მიხარია, რომ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში მუშაობის პერიოდში მე და ჩემს თანამშრომლებსაც გვაქვს მცირედი წვლილი შეტანილი ამ ნომინაციის მომზადებაში.

მახსოვს ხანგრძლივი დისკუსიაც სახელწოდებასთან დაკავშირებით. სათაური დიდი გამოდიოდა, მაგრამ ვერ ველეოდით „სამ სახეობას“. იმის წარმოჩენაც გვსურდა, რომ ახალი სახეობის წარმოქმნა წინას არ ასამარებდა და ეს სახეობები დღესაც თანაარსებობენ.

„ცოცხალი კულტურა“ – სხდომაზე დამსწრე მეუფე დავითმა (ალავერდელმა) დაადგა საბოლოო გვირგვინი ნომინაციის სახელწოდებას და ალბათ სათანადოდაც დალოცა ეს დალოცვილი საქმე.

გილოცავთ, ქართველებო!
მე მიყვარს მსოფლიოს საგანძური,
მთელ დუნიაზე ერთ-ერთი ულამაზესი,
უმდიდრესი და უძველესი ქართული დამწერლობა!“

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲕᲘᲗ

ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲘ



ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ
ᲙᲝᲛᲔᲜᲢᲐᲠᲘᲖᲔᲑᲣᲚᲘ ᲢᲔᲥᲡᲢᲘ ᲓᲐ
ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘᲙᲣᲠᲘ ᲒᲖᲐᲑᲐᲛᲕᲚᲔᲚᲘ
12 ᲚᲐᲠᲘ



ᲤᲘᲖᲘᲙᲐ
ᲡᲐᲐᲢᲔᲡᲢᲐᲢᲝ ᲑᲐᲛᲝᲛᲖᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
Ქ. ᲢᲐᲢᲘᲨᲕᲘᲚᲘ, Ზ. ᲑᲔᲠᲘᲐ
10 ᲚᲐᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ
ᲒᲠᲐᲛᲐᲢᲘᲙᲐ
ᲡᲘᲜᲗᲐᲥᲡᲘ
ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲙᲣᲠᲡᲘ
6. ᲑᲐᲠᲐᲨᲕᲜᲘᲫᲔ
7 ᲚᲐᲠᲘ

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲔᲜᲘᲡ ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ
ᲒᲐᲜᲐᲛᲐᲠᲢᲔᲑᲘᲗᲘ
ᲚᲔᲥᲡᲘᲙᲝᲜᲘ (ᲘᲠᲩᲘᲚᲘᲐᲜᲘ)
10 ᲚᲐᲠᲘ

ᲗᲐᲛᲐᲖ ᲕᲐᲡᲐᲫᲔ
ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲐᲑᲘᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚᲘ
ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ
ᲛᲔᲛᲙᲕᲘᲓᲠᲔᲝᲑᲘᲡ
4 ᲚᲐᲠᲘ



ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ
ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ
ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ
ᲔᲛ. ᲑᲣᲠᲓᲘᲚᲐᲫᲔ, Გ. ᲡᲘᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘᲫᲔ,
Ქ. ᲑᲐᲪᲘᲠᲐᲫᲔ, ᲓᲐ. ᲜᲐᲖᲘᲠᲘᲗᲕᲘᲚᲘ
I ᲜᲐᲬᲘᲚᲘ – 10 ᲚᲐᲠᲘ
II ᲜᲐᲬᲘᲚᲘ – 10 ᲚᲐᲠᲘ